საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 27 თებერვალი. 2020 წ. №36 (8962) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

კეისარს კეისრისა!

მაოხარნი

ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივრის წინააღმდეგ! ③

ვანდალები!

მცხეთაში 9 ძირი კანადური ნეკერჩხლის ხე გამიზნულად დააზიანეს!

ვანდალური ფაქტი მოხდა მცხეთაში, მტკვარზე ახალი ხიდის მშენებლობის მიმდებარედ. გვიან ღამით ამ ტერიტორიაზე ნეკერჩხლის ხეები დაუდგენელმა პირებმა გამიზნულად დააზიანეს, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ გადატეხილია 9 ძირი კანადური ნეკერჩხლის ხე, რომლებიც 2019 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა და გამწვანების აქციის ფარგლებში ნოემბრის დასაწყისში დაირგო.

24 თებერვალს ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურმა რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. გამოძიება დაწყებულია ყველა იმ პირის მიმართ, ვინც აღნიშნული უკანონო ქმედება ჩაიდინა. მალე შესაბამის ზომებს მიიღებენ.

„ჩვენს ქალაქზე ზრუნვა თითოეული ადამიანის ვალდებულებაა. თითოეული ჩვენგანი უნდა ცდილობდეს ქალაქის მოვლას და გალამაზებას, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ: გავხადოთ მცხეთაზე ზრუნვა ჩვენი ცხოვრების განუყოფელ წესად და სხვებსაც ვუბიძგოთ ამისკენ“! — ნათქვამია მერიის განცხადებაში.

„პატრიოტი“ ნაცები და ქვეყნის „მოღალატე“ ქოცები ④

ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდას არ უბრუნდება და რევოლუციურ სცენარზე მუშაობს ⑤

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი: საქართველო ეკონომიკის თავისუფლების მაჩვენებლით ევროპაში პირველ ადგილზეა ②

ევროპის საბჭოს მინისტერიალი სტრასბურგში გაიმართება!

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 130-ე სესია თბილისის ნაცვლად სტრასბურგში გაიმართება. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა გუშინ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, შესაბამისი გადაწყვეტილება სტრასბურგში მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე მიიღეს.

„სტრასბურგში მინისტრთა კომიტეტის მოადგილეების სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროპის საბჭოს მინისტერიალის სტრასბურგში გადატანის შესახებ. მოგეხსენებათ, 2019 წლის ნოემბერში, როდესაც საფრანგეთისგან თავმჯდომარეობა გადმოვიბარეთ, განვაცხადეთ ჩვენი სურვილის შესახებ, რომ მინისტერიალი ჩატარებულიყო საქართველოში და თბილისი ყოფილიყო მასპინძელი. ეს იყო ჩვენი მართლაც გულწრფელი სურვილი, გვემასპინძლა ასეთი მნიშვნელოვანი, მაღალი დონის ღონისძიებისთვის, რომელიც მართლაც უპრეცედენტო იქნებოდა, რადგანაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მსგავსი სახის მაღალი დონის ღონისძიებისთვის საქართველოს არ უმასპინძლია. აქედან გამომდინარე, ყველაფერი გავაკეთეთ 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე იმისთვის, რომ ჩვენს პარტნიორებთან, ასევე ევროპის საბჭოს გენერალურ სამდივნოსთან, გენერალურ მდივანთან კონსულტაციების რეჟიმში განგვეხილა ყველა შესაძლო სცენარი, რომ არ დაზიანებულიყო ჩვენი, როგორც ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყნის რეპუტაცია“...

მისივე თქმით, მინისტერიალის თბილისში ჩატარების შემთხვევაში, საქართველოს ღონისძიებაში ყველა ქვეყნის მონაწილეობის უზრუნველყოფა ევალებოდა.

„მოგეხსენებათ, რასთან არის დაკავშირებული ჩვენი კანონმდებლობა. მათ შორის, მხედველობაში მაქვს რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა. ჩვენ გვევალებოდა, უზრუნველგვეყო უკლებლივ ყველა წევრის მონაწილეობა ამ ღონისძიებაში. ამიტომ ვიყავით მუდმივი კონსულტაციის რეჟიმში, რომ ყველა შესაძლო სცენარი განგვეხილა. მინდა, გითხრათ, რომ არსებობს სხვა ქვეყნების პრეცედენტები, როდესაც გამოინახა ამის შესაძლებლობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა რესურსი გვქონდა გამოყენებული. გუშინაც, ჟენევაში როდესაც შევხდი გენერალურ მდივანს, სწორედ ამ თემებზე გვქონდა საუბარი. მათი მხრიდან არის სრული გაგება იმასთან დაკავშირებით, რომ მინისტერიალი ჩატარდეს სტრასბურგში“, — თქვა დავით ზალკალიანმა.

საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 130-ე სესია მაისში თბილისში უნდა გამართულიყო, თუმცა გაურკვევლობა შეიქმნა რუსეთის დელეგაციის, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის სესიაში შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საუბარია ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონზე, რომლის პირობებიც სერგეი ლავროვს დარღვეული აქვს.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲐ...

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ საფუძველი და ხერხემალი თავისუფალი ბიზნესია, ძლიერი ქართული ბიზნესი, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ეკონომიკური კონფერენციის — „საქართველო და მსოფლიო 2020“ გახსნაზე, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, ქვეყნის ეკონომიკის სისტემური გამოწვევა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაა. კერძო სექტორსა და სახელმწიფო ინტერესს შორის დაბალანსებული პოლიტიკის გარეშე კი სერიოზული შედეგების მიღწევა შეუძლებელია.

„ჩვენ არ ვართ დაინტერესებული, ვისაუბროთ მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიღწევებზე. ჩვენი ინტერესი უფრო არის, ვისაუბროთ საქართველოს ბიზნესის მიღწევებზე, რამეთუ ყველას კარგად გვესმის, რომ ჩვენი ეკონომიკის საფუძველი და ხერხემალი თავისუფალი ბიზნესია, ძლიერი ქართული ბიზნესი, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს. მოგეხსენებათ, ჩვენი ეკონომიკის სისტემური გამოწვევა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა გახლავთ. აქ დაბალანსებული ურთიერთობის, დაბალანსებული პოლიტიკის გარეშე კერძო სექტორსა და სახელმწიფო ინტერესს შორის, სერიოზული შედეგების მიღწევა შეუძლებელია. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ დღეს ასეთი მასშტაბური და გლობალური სათაური გვაქვს ჩვენი კონფერენციის — „საქართველო და მსოფლიო 2020“, ეკონომიკურ ჭრილში ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ განვიხილავთ ჩვენს ქვეყანას საქართველოს ეკონომიკურად, როგორც ძლიერ პლატფორმას, რომელიც ემსახურება დიდი ეკონომიკის სერვისებით მომარაგებას“, — განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, კონფერენცია საშუალებას იძლევა, ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, განიხილონ, პირველ რიგში, ქართული ეკონომიკის გამოწვევები და შესაბამისად, მიღწევებიც.

„საქართველო მიზანმიმართულად ახორციელებს მთელი რიგი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების ხელშეკრულებების გაფორმებას. საქართველო გახლავთ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი აქვს როგორც ჩინეთთან, ისე ევროკავშირთან და ჩვენს ყველა მეზობელთან. უკვე მოლაპარაკების აქტიურ რეჟიმში ვართ და მალე დავასრულებთ ისრაელთან, ასევე ინდოეთთან და ჩვენ გვექნება ძალზედ ძლიერი პორტფელი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებისა.

რატომ? — ჩვენ ხომ ყველას კარგად გვესმის, რომ საქართველო პატარა ბაზარია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ გვსურს, რომ ქვეყანა გახდეს, პირველ რიგში, პლატფორმა, ჰაბი, დიდ ეკონომიკებს შორის ვაჭრობის, ბიზნესაქტივობისა და ინვესტიციების მომსახურების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ვქმნით ჩვენ ძლიერ პაკეტს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებისა,“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ქვეყანაში შეიქმნას განსაკუთრებული ბიზნესკლიმატი ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი, სერვისის სფეროში.

ᲚᲔᲨᲔᲚ ᲑᲐᲚᲪᲔᲠᲝᲕᲘᲩᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიმდინარე ეკონომიკური კონფერენციის „საქართველო და მსოფლიო 2020“ ფარგლებში, მისასალმებელი სიტყვით ლეშეკ ბალცეროვიჩი გამოვიდა. ვარშავის ეკონომიკური სკოლის პროფესორმა და პოლონეთის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებზე ისაუბრა და ამ კუთხით, საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე გაამახვილა ყურადღება.

ლეშეკ ბალცეროვიჩის შეფასებით, საქართველომ ბევრს მიაღწია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისა და ბიზნესის გახსნილობის კუთხით. **„ეკონომიკა უნდა იყოს კერძო, სახელმწიფო მესაკუთრეობა რისკია, იმიტომ, რომ ძალიან მარტივად ხდება პოლიტიზირება, საკუთრება უნდა იყოს კერძო. ამ თვალსაზრისით საქართველომ ბევრს მიაღწია. მეორე ეს არის მონოპოლიების მოშლა, გახსნილობა და ჩვენ მოვისმინეთ ის, თუ რას აკეთებს საქართველო ამ ფრონტზე“,** — განაცხადა პროფესორმა.

ამასთან, როგორც ბალცეროვიჩმა განაცხადა, სწორი რეგლამენტები და რეგულაციები, დასაქმების ზრდა, პროდუქტიულობა, ინოვაციები, კანონის უზენაესობა, პოლიტიკოსებისაგან და ბიზნესებისაგან დამოუკიდებელი პროკურატურა წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკის ზრდას მსოფლიო ქვეყნებში. კონფერენცია, სახელწოდებით „საქართველო და მსოფლიო 2020“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნა.კონფერენცია ბრიტანული ჟურნალის — THE ECONOMIST წლიური გამოცემის „მსოფლიო 2020 წელს“ ეგიდით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით უკვე მეორედ ტარდება.

ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲜᲐᲣᲛᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ

ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ნაუმანის ფონდის მიერ წარმოებული ინდექსის „თავისუფლების ბარომეტრი — ევროპა 2019“ მიხედვით საქართველო ევროპაში 27-ე ადგილზე გავიდა და შეფასების 100-ბალიანი შკალიდან 69.06 ქულა მიიღო, რაც ქვეყნის ახალი ისტორიული მაქსიმუმია.

საქართველომ გაუსწრო ევროკავშირის წევრ ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა: **იტალია, ხორვატია, ბულგარეთი, საბერძნეთი, უნგრეთი. საქართველო რეიტინგით ყველა მეზობელ ქვეყანას უსწრებს, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ბალტიისპირეთს ჩამორჩება.**

აღსანიშნავია, რომ ამავე **კვლევის თანახმად, საქართველო პირველ ადგილზე გავიდა ეკონომიკის თავისუფლების ინდიკატორის მიხედვით. კვლევაში ხაზგასმულია ის ფაქტი რომ საქართველო არა მხოლოდ პირველ ადგილზეა ეკონომიკის თავისუფლების მიხედვით ევროპაში, არამედ ლიდერია ეკონომიკის თავისუფლების გაუმჯობესების მიხედვითაც. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც 2019 წელს ეკონომიკის თავისუფლების ინდიკატორის 1-პუნქტიანი გაუმჯობესება შეძლო, ნახევარპუნქტიანი გაუმჯობესება კი მხოლოდ ორმა ქვეყანამ (იტალია, სომხეთი) მოახერხა.**

კვლევაში, გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოში პრესის თავისუფლების საკითხს, რომელიც ანგარიშის თანახმად ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. გამოყოფილია კორუფციის საკითხიც, ნათქვამია რომ საქართველო, როგორც მინიმუმ ევროკავშირის წევრი ქვეყნების 1/3-ს მაინც უსწრებს კორუფციის სიმცირით. ისტორიულ მაქსიმუმზეა კერძო საკუთრების დაცულობის მაჩვენებელიც.

კანონის უზენაესობის ინდიკატორის მიხედვით, საქართველო ევროპაში 29-ე ადგილზე გავიდა და გაუსწრო ევროკავშირის წევრ სამ ქვეყანას: რუმინეთს, საბერძნეთს და ბულგარეთს. ამ ინდიკატორით საქართველო უპირობო ლიდერია კავკასიასა და შავი ზღვისპირეთში.

აღნიშნული კვლევის მიხედვით საქართველოში „სასამართლოს დამოუკიდებლობის“ მაჩვენებელიც გაუმჯობესდა. საქართველო ამ ინდიკატორით უსწრებს დიდი შვიდეულის ერთ, ევროკავშირის ოთხ, ნატოს წევრ შვიდ სახელმწიფოს. კვლევის თანახმად საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობა უფრო მაღალ დონეზეა ვიდრე იტალიაში, საბერძნეთში, ხორვატიაში, ბულგარეთში და ა.შ. საქართველო ლიდერია კავკასიაში და რუმინეთთან ერთად (თანაბარი ქულით) პირველ ადგილზეა შავი ზღვისპირეთში. ამასთან, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში სასამართლოს დამოუკიდებლობის მიხედვით მხოლოდ ბალტიისპირეთს ჩამორჩება.

შედარებისათვის, 2012 წელს საქართველო „თავისუფლების ბარომეტრის“ მიხედვით ევროპაში 39-ე ადგილზე იყო. დღეისათვის ქვეყნის სარეიტინგო პოზიცია 12 ადგილითაა გაუმჯობესებული!

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ახალდანიშნულ ელჩთან რან გიდორთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა მსოფლიოსა და რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება მიმოიხილეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის მეგობრულ ურთიერთობებს და შესაბამის უწყებებს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას. გრიგოლ ლილუაშვილმა და რან გიდორმა ორი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა რან გიდორს ელჩად დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

მაოხარი

ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივრის წინააღმდეგ!

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არასოდეს გამილაშქრია, არც მაშინ როდესაც ხელისუფლებაში იყო და არც ახლა, როდესაც წინასწარმეტყველის სახელის საძიებლად უდაბნოშია გაჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ ამის საფუძველი პირადად მე და ჩემს ოჯახს გვძონდა. მიზეზი საყურადღებო.

ძაღლმა თურმე ყეფა არ იცოდა – ის ადამიანმა ასწავლა. ასე მასწავლა ყეფა, ღრენა, და კბენა იმ ბოროტმოქმედთა ხროვამ, რომელსაც ყალბისმთქმელი, ყალბისმძნელი, თახსირი და მაოხარი გზირი – მიხეილ სააკაშვილი წვრთნიდა და მოძღვრავდა.

ხოლო შენ, საჯდომიდან მოლაპარაკე გაბუნიავ! მე თუ მონა ვარ და შენ ვაჟკაცი, მაშინ შენს ორგანოებს ფუნქცია რატომ შეუცვალე? საიდანაც უნდა ილაპარაკო, იქიდან სხვა საქმეს აკეთებ და საიდანაც შენი წინაპრების საფლავებს უნდა ასაქმებდე, იქიდან ლაპარაკობ. მე, გრიშა ონიანი, მონა და შენ – გაბუნია – ვაჟკაცი? შენ ამაყობ სახელგანთქმული მეისტორიე იოსებ ფლავიუსის სიტყვებით, რომელმაც იუდას დასის რამდენიმე დებულება გააპოპულარულა, რომ **1) „არავის ეწოდოს ბატონი“** და **2) „თავისუფლება სიცოცხლეზე ძვირფასია“**. ფლავიუსმა სხვა უამრავი ბოროტმოქმედებანი გააპოპულარულა, მაგრამ მას არავინ იხსენებს.

მე რომ კომუნისტების პერიოდში გარდაბნის რაიონში უსპეტაკეს პიროვნებას, რაიკომის პირველ მდივანს ალექსი ბექაურს ვეთანამშრომლებოდი, ის ჩემი ბატონი და მე მისი მონა ვიყავი? თუ თბილისს 100 000 ტონაზე მეტ ხილ-ბოსტნეულს, 10 000-ობით ტონა რძესა და ხორცს, ყურძენს, მილიარდამდე ახალ კვერცხს ვუგზავნიდით ქვეყნის დედაქალაქს წლების განმავლობაში – ეს შიშიდან იყო გამომდინარე?

ზვავებში მოქცეულ სვანეთის მოსახლეობას რომ ვეშველებოდით და კეთილმოწყობილ სახლებში ვაბინავებდით – ეს შიშით იყო გამოწვეული? წითელწყაროს რაიონში სტიქიურ უბედურებას გადარჩენილ აჭარელი მოსახლეობისთვის ათასობით ორსართულიან 5-ოთახიან სახლებს რომ ვაშენებდით ალაზნის ნაპირებზე – ესეც, ალბათ, სამსახურის დაკარგვის შიშით იყო გამოწვეული?!

შორეულ კასპიისპირეთში ორნახევარ მილიონამდე ცხვარს რომ ვაზამთრებდით და ვამდიდრებდით სახელმწიფო ხაზინას, ესეც, ალბათ, შიშით იყო გამოწვეული. 50 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვაშენებდით ევროპაში ერთ-ერთ უმდიდრეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის საფუძვლებს, დიახ მე ამაყად ვამბობდი: – **„დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“**.

შენ კი კაცისთვის შეუფერებელი საქციელისთვის გაქვს დაკავებული საქართველოს გარყვნისა და გათახსირების მთავარი ასპარეზი და კარგად უნდა იცოდე, ერთი თახსირი მიხეილ სააკაშვილის გასამართლებლად უსამართლობას სჩადიხართ მილიონობით ადამიანის წინაშე ღია ეთერში, ანდა ათასობით უსამართლო გერმანელი დამნაშავეების მიზნებს იცავთ ერთი სამართლიანი კაცის – სტალინის წინააღმდეგ! ორივე შემთხვევაში ზნედაცემული და განუვითარებელი სპერმატოზოიდი ხარ დედის საშოდან დაგდებული. შე გარეწარო, შენი ამძუვნებული გრძნობების დასაოკებლად მარტო კი არ უდგახარ მონად და ხასად შენ დირექტორს, არამედ შიში გაკანკალებს, სამსახურიდან გაგდების შიში. ეს არ არის ჩვეულებრივი შიში, შიშია უფლისა, რომელიც თქვენ, მართალია, არ გწამთ, მაგრამ მაინც გეშინიათ. და თუ მე ვინმესი მეშინია და ამის საფუძველი შეიძლება არსებობს კიდეც, ეს შიში გაბედული ადამიანის გონებრივი ნორმალური განცდაა.

– „განსაცდელში ჩავარდნილი კაცის მიერ გამოჩენილი გმირობა აპოგეაში ასული შიშის შედეგია“, – ამბობს რემარკი.

– „შიში სიყვარულმაც იცის... შიში თავმოყვარეობამ და პატიოსნებამაც იცის“ და შენ იმიტომ აცხადებ უშიშარი ვარო, რომ შენ არც სიყვარული, არც თავმოყვარეობა და არც პატიოსნება არ გაგაჩნია!

ასე რომ, შენ კარგად უნდა გაისიგრძეგანო, რა არის მონობა და რა არის შიში.

მოსეს იგავი – უდაბნოში 40 წლის უგზოუკვლოდ ტარება ებრაელებისა, მარტო იმით არ მთავრდება, რომ აღთქმულ ქვეყანაში თავისუფლებაში დაბადებული ხალხი უნდა მიეყვანა, იქ სხვა რამეც წერია და კარგად უნდა წაიკითხო, თახსირო.

მე კი ერთ დასკვნას გამოვიტან მკითხველო, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, სანამ ერთი ნაციონალი იქნება, მანამ საქართველოს განვითარება არ უწერია, მანამდე საქართველოსთან იცოცხლებს დავით გურამიშვილის სიტყვები – „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“.

ასე ქვეყანა არ აშენდება!

ბატონო ბიძინა, არც თქვენი ქება-დიდებით მომიკლავს თავი, მაგრამ დღეს ყოველგვარი მონობისა და სარგებლის გარეშე მგელიკა (ერეკლე მეორის პირადი მცველი) უნდა გავხდე შენს ერთგულ დამცველთა შორის, თუმცა დასაცავი ნამდვილად არა ხართ, – **„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“**.

თქვენ კი არ გიყვართ, მაგრამ თავს ძალა უნდა დაატანოთ და ხშირად იკითხოთ სტალინი. მასში სახელმწიფოს მართვის ყველა ხერხი და მეთოდია დამუშავებული – დაწყებული უხსოვარი დროიდან დღემდე. რომულუსი, ცეზარი, მაკედონელი თუ მაკიაველი, „რობინ ჰუდის“ თავგადასავლად მოგეჩვენებათ. ამას მე არ ვამბობ, ამას ჩერჩილი, მაო ძედუნი, ჰიტლერი, რუზველტი და ჰარი ტრუმენი ამბობენ.

სტალინი კი ბრძანებს: – **„დამარცხებული მტერი განადგურებული არ არის.“** თქვენ ამხანაგო ბიძინა, თავიდან ჩამოგდებული ღორის ტილი კვლავ ფეხზე დაისვით და რომ არ გეგონათ, ისე სწრაფად აგაბობღდათ თავზე და კეფაზე დაგაჯდათ.

თქვენ რომ ახლა სამეცნიერო შრომას გიწუნებენ და თქვენს ცოდნაში ეჭვი ეპარებათ, ეს მათ უცოდინარობას მიეწერება. მათ რა იციან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზები და მეთოდები, მათ იციან თავიანთი მასწავლებლებისგან ნასწავლი საშუალებები, თუ როგორ უნდა გაავრცელონ ცრუ ხმები და ყალბი ბრალდებები, რათა თქვენ სულ თავდაცვაში და ჩოქბჯენში ჰყავდეთ გადაყვანილი.

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად ან ხელისუფლებაში მოსასვლელად თანამედროვე მსოფლიოში მთავარ ძალას კერძო კაპიტალი წარმოადგენს, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენგან აღიარებულ **„ძალზე ჭკვიან და ყოფილ ხელისუფლებაში ნამყოფ ადამიანებს“** ერთობლივად თქვენზე ბევრად მეტი კაპიტალი გააჩნიათ და თუ ამას მათ მიერ ანგლოსაქსურ ელიტაში დარიგებულ ფინანსებსაც დავუმატებთ, კაპიტალი ერთიორად გაეზრდებათ. ხელისუფლებაში მოსასვლელად კი ღირს ყველაფერი დათმონ, რათა ერთიორად ამოიღონ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დახარჯული რესურსები.

რით იყო ძლიერი სტალინი რუსეთში და არა საქართველოში? ის თავისი ძალით და ენერგიით ეჭვმიუტანლად ემსახურებოდა რუსეთს. თითქმის დისტანციური მართვით 1947 წელს მოლოტოვი სამსახურიდან გადააყენა იმიტომ, რომ მოლოტოვის მითითებით გაზეთმა „პრავდამ“ დითირამბები დაბეჭდა სტალინზე.

დაუყოვნებლივ სოჭიდან დეპეშას უგზავნის კაგანოვიჩს: – **„ჩვენ არ გვჭირდება სხვა ქვეყნის მეთაურების ქება-დიდება, ეს მავნეა სახელმწიფოსთვის, რომელიც ადამიანებს და მთავრობას უდუნებს ყურადღებას, რაც შემეხება პირდად მე, გულახდილად გეტყვით, მეჩოთირება კიდეც.“**

რომ არა სტალინი, ჰიტლერი მსოფლიოს დაიპყრობდა, რადგანაც ფიურერი მთლიანად ეროვნულ მიზნებზე იდგა და ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ გერმანიას.

მაო ძედუნი, მიუხედავად თავისი „კულტურული რევოლუციისა“, გაღმერთებულია თავის ქვეყანაში, რადგან ის მუდამ ჩინელი იყო. რატომაა ფრანკო ერთ ქვეყანაში ესპანელებისთვის ღმერთი და კატალონიელებისთვის დიქტატორი? იმიტომ, რომ ფრანკო ყოველთვის ესპანელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პრეზიდენტმა პირადად სთხოვა ფრანკოს ერთი პიროვნების შეწყალება, მაგრამ ფრანკომ ესპანეთის ღირსების დასაცავად არ გაითვალისწინა აშშ-ს პრეზიდენტის თხოვნა და დამნაშავე ესპანეთის ცენტრალურ მოედანზე თავისივე ხელით დახვრიტა. და ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ბატონო ბიძინა, დადგეთ ქართველი ხალხის გვერდით, თქვენ ბევრი რამ უსიკეთეთ საქართველოს, რომელსაც შეგნებულად ნაცარს აყრიან ნაციონალები. მიაფურთხეთ ეშმაკს და ერთმნიშვნელოვნად დადექით ქართველი ხალხის გვერდით, ისე როგორც ეს უქნიათ მსოფლიოში გამოჩენილ ადამიანებს! თქვენ, რომელმაც საქართველოში ააღორძინეთ როგორც ბევრი რამ, კერძოდ, რაგბი, როგორი უნამუსო და უსირცხვილო უნდა იყოს რაგბის ქომაგი ადამიანი, რომ არ აღაშფოთოს იმ უნამუსობამ, რაც მათ მილოცვას მოჰყვა თქვენი დაბადების დღისადმი.

ეროვნული აკადემია, რომელსაც ათეული წელია, შეუნარჩუნეთ სიცოცხლე და არ ჩაქრა საბჭოთა კავშირში რიგით მესამე აკადემიის არსებობა, რატომ უნდა შერცხვეთ ჩვენს სახელოვან აკადემიკოსებს, რომ თავიანთი სახელით მიულოცონ დაბადების დღე თავიანთ ერთ-ერთ გადამრჩენს და დამფინანსებელს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ან საპატიო წევრი, ჩვენი ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ოთარ კვესიტაძე რატომ არ უნდა ულოცავდეს დაბადების დღეს ბიძინა ივანიშვილს?

ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიის ნამდვილი წევრის, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოს-მკვლევარისა და აღმზრდელის, დიდი ივანე ჯავახიშვილის საქმის უერთგულესი გამგრძელებლის როინ მეტრეველის მილოცვა ბიძინა ივანიშვილის დაბადების დღისადმი, რატომ უნდა იყოს დამამცირებელი ან თვითონ როინ მეტრეველისთვის ანდა თავად ბიძინა ივანიშვილისთვის? აკადემიის სწავლულ მდივან რამაზ ხუროძეს, რომლის ნაშრომებიც ნიადაგ იბეჭდება საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში და ათწლეულების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, განა უფლება არა აქვს, მიულოცოს დაბადების დღე თავისი აკადემიის მფარველსა და დამფინანსებელს?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებ და მოვუწოდებ ყველა ქართველს და, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ წევრებს, გამოეხმაურონ და ერთხმად მიულოცონ დაბადების დღე ყველაზე მძიმე ჟამს მხსნელად მოვლენილ კაცს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს დაბადების დღე და აღუთქვან მომავალ არჩევნებში მტკიცე და განუხრელი მხარდაჭერა.

ჩემი მხრიდან კი

დეპეშა

1945 წლის 9 მაისს კრემლში სტალინის სახელზე გამოგზავნილ დეპეშებს შორის ერთი მოკლე ტექსტის დეპეშაც მივიდა, რომელსაც ხელს აწერდა საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი: – **„ევროპა რომ თავისუფალია, ეს თქვენ და სტალინგრადია“**.



მსგავსად ამ ტექსტისა: – **„დღეს ქართველი ხალხი რომ თავისუფალია, ეს თქვენ, ბერა და იბერიაა“...**

გისურვებთ წარმატებებს.

გრიშა ონიანი,
25.02.2020.

„პატრიოტი“ ნაცები და ქვეყნის „მოღალატე“ ქოცები

ვიდრე წერილში წამოჭრილი საკითხის გაშუქებას შევუდგებოდე, მინდა, პატარა განმარტება გავაკეთო, რათა არავინ იფიქროს, ავსულ ნაცებს პატრიოტობას ჩემი პირადი ახირებით ვაბრალებ. არა, ბატონებო, ისინი ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივითა და სურვილით იბრალებენ მათთვის სანუკვარ პატრიოტობას, ისევე, როგორც საკუთარი უსინდისობითა და გამჭრიახობით ვინმესგან დაუძალებლად თვლიან მოღალატეებად „ქართული ოცნების“ თავკაცობას. იმასაც ვიტყვი, სულაც არ მეხალისება ნაცხროვის მიერ ნაკეთები ბინძური საქმეების კიდევ ერთხელ განქიქება, რადგან ვიცი, რაც უფრო მეტად აუქნევ ჯოხს, მით უფრო მეტად აყეფდებიან. ეს კარგად მოეხსენებათ თავად კოჰაბიტაციური ჯოხის მქნეველ ოცნებელებს, რომელთაც ევროატლანტიკური დემოკრატიის ხმაზე მყეფარი ძაღლთაპირი ნაცების გნიასი ვერა და ვერ ჩააცხრეს.

ეტყობა, ვერც ჩააცხრობენ ავსული ნაცების „პატრიოტულ აღტყინებას“, რომელსაც ისინი „გონივრულად“ იყენებენ არა მარტო თავის მოსაწონებლად, არამედ ამა თუ იმ საკითხზე წამოჭრილი დავისას, მოწინააღმდეგისთვის მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლადაც. მახსენდება, პარლამენტში ატეხილი მორიგი ალიაქოთისას, ნაცდეპუტატმა სალომე სამადაშვილმა მისთვის ჩვეული კდემამოსილებით, „ქართული ოცნების“ დეპუტატები „ივანიშვილის გოშიებად“ როგორ მონათლა. სხვები გაჩუმდნენ, მაგრამ დეპუტატმა ზვიად ძიძიგურმა „გოშიობა“ რატომღაც იუკადრისა და ენაკვიმატ კოლეგას არც თუ ალერსიანად მიმართა: ქალბატონო სალომე, მე რომ ახლა თქვენ „სააკაშვილის პუდელი“ გიწოდოთ, მოგეწონებოდათო?

მაშინ, სამადაშვილს სააკაშვილის პუდელად დაწინაურების მოწონება-არმოწონების თაობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ სიანჩხლით სახელგანთქმულ დეპუტატს, რომლის პოლიტიკურ ყეფასაც მთელი ქვეყნის ყურთასმენა მიაქვს, არა მგონია, კურდღელივით მშიშარა და ლაქუცა პუდელის ხვედრით დიდად კმაყოფილი დარჩენილიყო. ალბათ, თავად საკაშვილიც არ დაუმადლის ძიძიგურს ნაცების მისამართით გაღებულ წყალობას. ეს გასაგებიცაა, ნაცბელადს, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებას დამხობით ემუქრება, ლაქუცა და ყურებჩამოყრილი პუდელები კი არა, ანჩხლი და შემტევი ავჩარკები სჭირდება(!)

აკი ჰყავს კიდეც, თანაც კარგად გაწვრთნილი ავჩარკების (როგორც ქალების, ისე კაცების) მთელი არმია. ამის დასტურად მარტო დეპუტატ კაკოია ბობოხიძის ხსენება რად ღირს, რომლის ერთი რიხიანი შეყეფვაც კი პარლამენტის მთელ შენობას მიწისძვრასავით აზანზარებს, კაკოიასთან შედარებით შეიძლება ლეკვის წკავწკავად მოგეჩვენოთ კუპონა რომანია გოცირიძის ყეფა, მაგრამ საზოგადოებას ტელეეკრანიდან ისე ხშირ-ხშირად უწევს მისი მოსმენა, რომ უკვე მომაბეზრებელი ხდება და როცა ნაცდეპუტატთა პატრიოტული მოტივით ატეხილი ყეფა-ყმუილი ძიძგილაობა-გარტყმა-გამორტყმაში გადაიზრდება, აი, მაშინ ხდება სპექტაკლი ნამდვილად უზადო საყურებელი...

ერთი ასეთი სპექტაკლი ნაცებმა პარლამენტში ამას წინათაც დადგეს, როცა კბილებალესილი ელენე ხოშტარია და თინათინ ბოკუჩავა მართლაც რომ ავჩარკებივით შეცვივდნენ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, თავს დაესხნენ როგორც თავად კომიტეტის თავკაც ოხანაშვილს, ისე დეპუტატებთან გასაუბრებაზე მისულ გენპროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს, რომელთაც ივანიშვილის მონები და ქვეყნის დამაქცევრები ეძახეს. მართალია, სხდომის ჩაშლა ვერ შეძლეს, მაგრამ საზოგადოების თვალში „ოცნებისა“ და პროკურორის იმიჯის ტალახში ამოსვრას კიდევ ერთხელ შეეცადნენ. ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად ასევე მომდევნო დღეებში იმავე ხოშტარიასა და ნადირაშვილის მიერ პარლამენტში გაჟღერებული საბჭოთა კავშირის ჰიმნი, როცა პლენარულ სხდომაზე გასულ წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით კიდევ ერთხელ შეახსენეს მათი შეფასებით „უნიათო“ მთავრობას: ჩვენ ვართ ის პროგრესული ძალა, ვისაც ქვეყნის მომავალი უნდა ჩაბარდეს, თქვენ კი უქნარა და უნიათოები, საბჭოეთის შავბნელ წარსულში ჩარჩენილები ხართო(!)

ეს ჩვენი ნამუსშებრაწული ნაცები პატრიოტობასთან ერთად, როგორი შეუვალნი და პრინციპულნიც არიან, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ამას წინათ სტრასბურგში გამართულ ევროპარლამენტის სხდომაზე, როცა საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში გაწეული საქმიანობა-რეფორმების დადებითად შემფასებელ დეკლარაციას მხარი არ დაუჭირეს. მათ არა მარტო თავად გაილაშქრეს საკუთარი ქვეყნის მიღწევების წინააღმდეგ, თაიანთი სატელიტი სახალხო პარტიის დეპუტატებიც მიიმხრეს და ხსენებული დეკლარაციის მიღება ჩააგდეს. აბა როგორ, ჩვენ კი ვიცით რა ბოღმა და შური უტრიალებთ სულში ქართველ მიშნაცბანდელებს, მაგრამ მათი კაიკაცობის ამბავი უცხოელებსაც ხომ უნდა გაეგოთ?! აკი გააგებინეს კიდეც და შვებით ამოისუნთქეს.

ყოჩაღ, თქვენს მამულიშვილობას, ნაცპატრიოტებო!

აქ თითქოს შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ არ გამოვა. ნაცებს ვერ მოვიმდურებ, მართალი არ ვიქნები, თუ გავჩუმდები და მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით მათ სასარგებლოდ ორიოდ სიტყვას არ ვიტყვი. თუმცა, ნაცები იმის ჩიტები არ გახლავან, საქმე ისეთი წარმატებით აკეთონ, რომ საკუთარ თავზე საქებარი გათქმევინონ. მით უფრო ახლა, როცა არჩევნებში ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ კომპრომისულ ვარიანტზე ერთი ყმუილ-გნიასი აქვთ ატეხილი. მათი აზრით, ყველაფერ ამაში დამნაშავე, რა თქმა უნდა, ტყუილების გუდა ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ჯერ შეეჰირდა ქვეყანას პროპორციული არჩევნების ჩატარებას, შემდეგ კი გადაიფიქრა და ხალხი გადააგდო.

ეს ნაცების აზრია, მაგრამ სინამდვილეში ივანიშვილმა მართლა გადააგდო ხალხი თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მას, მართალია, შერეული არჩევნების პროპორციულით შეცვლის იდეა-ინიციატივა ჩაუვარდა, რაც ნაცებმა ივანიშვილის მორიგ ტყუილად და ხალხის გადაგდებად გაასაღეს, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ პარლამენტის სხდომაზე დეპუტატთა ერთმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა ამ ინიციატივას და არა ის, რომ ივანიშვილმა ასეთი არჩევნების იდეა ხალხის გასაცუცურაკებლად ჩაიფიქრა. სიმართლე გითხრათ, პირადად მეც, დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, გავითვალისწინებდი იმას, რაც პროპორციულ არჩევნებს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მოჰყვა (კოალიციურ მთავრობებს თვეობით ვეღარ ირჩევენ) და მხარს დავუჭერდი შერეული სისტემით არჩევნებს. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ამ 22 პარტიიდან, რომლებიც პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადებიან, ყველა მკვლელი და მანიაკი, მექრთამე თუ თაღლითი, საკანონმდებლო ორგანოში რომ გაძვრეს, პარლამენტში როგორი „აჯაფსანდალი“ ათუხთუხდება?! ისინი მუდმივი სკანდალისა და აყალმაყალის პირობებში კოალიციურ მთავრობას საერთოდ ვერ შექმნიან, ან თუ შექმნიან, ასეთი მთავრობა ჩვენს ისედაც დაუძლურებულ ქვეყანას რამდენად წაადგება?! ასე რომ, შეიძლება ვიფიქროთ, ივანიშვილმა ხალხი ახლა კი არ გადააგდო, მაშინ გადააგდებდა, თუ დამდეგ არჩევნებს საქართველოში პროპორციული სისტემით ჩაატარებდა(!)

ამასთანავე, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემი თვალთახედვით, ვთქვა სიმართლე იმაზე, რასაც „პატრიოტი“ ნაცების (და არა მარტო ნაცების) მიერ ქვეყნის „მოღალატედ“ შერაცხილ ივანიშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ამქვეყნად უშეცდომო არავინ არის და ივანიშვილმაც დაუშვა შეცდომა, როცა ქვეყანაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად ხალხისთვის მიცემული პირობა ბოლომდე არ შეასრულა და ევროპა-ამერიკელი პარტნიორების რეკომენდაციით თუ დემოკრატიის „ხათრით“ სისხლიანი რეჟიმის ავტორებს, იმის მაგივრად, რომ საპატიმროში გამოემწყვდია, კოჰაბიტაციური დახმარების ხელი გაუწოდა. შემრიგებლურად მოეკიდა თავის მიერ მსხვილ-მსხვილ თანამდებობაზე დაწინაურებულ კადრებს, როცა მათ სანახევროდ დამშეულ ქვეყანაში ფუფუნებით ცხოვრების გარანტიები შეუქმნა.

აქ მე არ შევუდგები ყველა იმ ნაკლისა და შეცდომის ჩამოთვლას, რაც „ოცნების“ ხელისუფლებამ თავის მმართველობის წლებში დაუშვა, ისევე, როგორც ვერ ჩამოვთვლი ყველა იმ სიკეთეს, რაც ბიძინა ივანიშვილმა მსოფლიოში არნახულად მასშტაბური ქველმოქმედებით (3 მილიარდ დოლარზე მეტი გაიღო) ქვეყანასა სწია. საქართველოში ნახევრად დანგრეული ეკლესია-მონასტრებისა და უსახსრობით გავერანებულ-გაჩერებული თეატრების აღდგენა-რეაბილიტაციას რომ თავი გავანებოთ, განა აბასთუმნისა და წყალტუბოს მკვდრეთით აღდგენა არ იძლევა იმის საბაბს, რომ უმადურმა ქართველებმა ბიძინა ივანიშვილის განქიქებას თავი ვანებოთ და მის მიერ ნაკეთებ დიდ საქვეყნო საქმეთა დარად ორიოდე საქებარი სიტყვა მაინც გავიმეტოთ?! რა თქმა უნდა, ამას ხისთავა შალიკო ნათელაშვილის და მისი უმცროსი ბახალის ლევან ხაბეიშვილის, მათნაირი ყბედების გასაგონად არ ვლაპარაკობ, რომლებიც თავიანთ კარიერიმიჯს ივანიშვილის დაუმსახურებელ ლანძღვა-თათხვაზე აგებენ (ერთი აგური მაინც გვაჩვენონ, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობაზე დაუდვიათ!) და არც გვამებზე მონადირე ვანო მერაბიშვილის გასაგონად, რომელმაც ციხიდან ცხვირის გამოყოფისთანავე ივანიშვილის ხელისუფლების დამხობა დააანონსა. მგლის თავზე სახარების კითხვას რა აზრი აქვს, შეაყარე კედელს ცერცვი!

* * *

ბოლოთქმა: ამ ვითომ ევროპულად დალაგებულ-დაწმენდილ, მაგრამ სინამდვილეში აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში, როცა ყველას ფეხის დადებით და დამხობით ემუქრებიან, ერთი საოცნებოღა დამრჩა: ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!..



ოთარ ხუციშვილი

გარედან უფრო საღად, პროქართულად გვაფასებენ, ვიდრე ქვეყნის შიგნით

საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ ოპოზიციის ძალისხმევა სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგში საქართველოს მიერ მიღებული დადებითი შეფასებების გადაფარვისკენ არის მიმართული.

ევროპის 2019 წლის „თავისუფლების ბარომეტრში“ საქართველოს მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე კომენტირებისას გია ვოლსკიმ აღნიშნა, რომ ნებისმიერი მსგავსი მაჩვენებელი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს პოზიციებს ამყარებს და ნებისმიერ პარტიას ამაზე მხოლოდ დადებითი შეფასება შეიძლება ჰქონდეს, რაც ასე არ ხდება.

„კვირა არ გადის, რომ რაიმე საერთაშორისო დონეზე არ გაჟღერდეს საქართველოს მოწინავე რიგებში ყოფნის ინფორმაცია. მთელი ძალისხმევა, მათ შორის ოპოზიციის, მათ შორის მართული მედიის, მიმართულია იქითკენ, რომ ეს მაჩვენებლები იქნას გადაფარული სხვადასხვა სკანდალური განცხადებებით და ინფორმაციებით. არათუ სერიოზული მაჩვენებელია, არამედ საქართველოს პოზიციებს ამაგრებს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე ნებისმიერი ეს მაჩვენებელი — ეკონომიკური თავისუფლება, სასამართლო თავისუფლება, მედიის თავისუფლება და უამრავი სხვა რამ, მათ შორის ბიზნესის თავისუფლება, რაც საქართველოს პერსპექტივას ხსნის მომავლისკენ. ერთადერთი შეფასება, რაც შეიძლება ყველა პარტიას ჰქონდეს, არის მხოლოდ დადებითი. სამწუხაროდ, ეს არ ხდება. სამწუხაროდ, გარედან უფრო კარგად, უფრო საღად, უფრო ჯანმრთელად და უფრო პროქართულად გვაფასებენ, ვიდრე შიგნით ხდება ასეთი შეფასებების გაკეთება“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდას არ უბრუნდება და რევოლუციურ სცენარზე მუშაობს

ოპოზიცია ხელისუფლების შეთავაზებაზე უარს აცხადებს. ამბობენ, რომ პროპორციული არჩევნების, პოლიტიკური დევნის შეწყვეტის და პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე დიალოგი წარმოუდგენელია. ამავე დროს, ოპოზიციისთვის მიცემული ვადა იწურება. რაც იმას ნიშნავს, რომ მოლაპარაკების შანსი სულ უფრო მცირდება. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, გარკვეული დროის შემდეგ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა ვერ მოხერხდება.

„რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მცირდება მოლაპარაკების შანსი, ჩვენ გარკვეული დროის შემდეგ ვეღარ შევძლებთ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს და აქედან გამომდინარე, რადგან რამდენიმე დღე დარჩა, ვფიქრობ, ისინი ბოლოს პასუხისმგებლობას ვეღარ გაექცევიან და მოლაპარაკებებში შემოვლენ, მოლაპარაკებებში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ უნდა მოქმედებდეს და არა რომელიმე პარტიის ინტერესებს ემსახურებოდეს“, — განაცხადა **მამუკა მდინარაძემ**.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება უარს იტყვის მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, ოპოზიციას პასუხი ამაზეც ექნება. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **სალომე სამადაშვილის** განცხადებით, შეუძლებელია მოლაპარაკებებზე საუბარი, როცა მაგიდიდან მძევლად აჰყავთ ადამიანები, რომლებიც მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

„ოპოზიციის მოთხოვნები ნათელია. აქ საუბარი არ შეიძლება იყოს რაიმე ტექნიკურ შეთანხმებაზე, თუ რამდენი მაჟორიტარი აირჩევა და შემდეგ რამდენი პროპორციული სიით შევა. საუბარი არის პრინციპზე, რომ ჩვენს ქვეყანაში დაცული იყოს დემოკრატიული არჩევანის უფლება და არჩევნებმა უზრუნველყოს ქართველი ხალხის ნების ასახვა იმ ხელისუფლებაში, რომელიც დაკომპლექტდება არჩევნების შედეგად. საუბარია ორ მოთხოვნაზე, ერთია — საარჩევნო სისტემის ცვლილება და მეორეა — პოლიტიკური დევნის და პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებების საკითხი“, — აცხადებს **სალომე სამადაშვილი**.

გონივრული კომპრომისის შემთხვევაში მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდება „ევროპული საქართველო“. როგორც **გიგა ბოკერია** აცხადებს, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ოპოზიციამ მმართველ პარტიას რამდენიმე კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა. თუმცა, ბოკერიას თქმით, მმართველმა გუნდმა მოლაპარაკებები ჩაშალა და პოლიტიკური რეპრესიები გააგრძელა.

„ჩვენ რამდენიმე კომპრომისული წინადადება ვუთხარით. ბოლო წინადადება იყო, რომ ისეთი ბალანსი იყოს, 40 პროცენტზე არსებითად მეტი ჰქონდეს ნებისმიერ პირველ ადგილზე გასულ პარტიას, რათა უმრავლესობის შანსი ჰქონდეს. ეს წინადადება მიიღეს და ამის შემდეგ ჩაშალეს მოლაპარაკებები, თქვეს, არაფერი გვაინტერესებსო და გააგრძელეს პოლიტიკური რეპრესიები, დაიჭირეს გიგი უგულავა.

ჯერჯერობით არ მაქვს ნიშნები, რომ გონს მოეგნენ. თუ ეს ნიშნები გვექნება, ძალიან კარგი. რა არის მოსალაპარაკებელი? ყველაფერი ცნობილია. ანუ, სწორად უნდა გავიგოთ — თუ რამე გადაწყვეტილება აქვთ, საჯაროდ ან არასაჯაროდ ამის შეტყობინების უამრავი გზა არსებობს და ახლა ჩაიციკლნენ, რომ ჩვენ მოლაპარაკებისთვის მზად ვართ, ამას ვინ ჭამს. მოლაპარაკებები რომ სდომოდათ, გონივრული კომპრომისის უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ და რეპრესიები არ უნდა დაეწყოთ“, — აცხადებს **გიგა ბოკერია**.

„შენების მოძრაობის“ ლიდერი დავით უსუფაშვილის განცხადებით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა საარჩევნო სისტემაზე გონივრული შეთანხმება შედგეს, თუმცა მისივე თქმით, ამისთვის ცოტა დროა დარჩენილი.

„ქვეყანა ჩიხში შევიდა 13 თუ 14 ნოემბერს, როდესაც პროპორციული სისტემა ჩავარდა. მას შემდეგ არის ჩიხიდან გამოსვლის მცდელობა. ამ მცდელობაში ოპოზიციური ძალები ვართ უფრო თანამიმდევრული, მონდომებული და მოწადინებული. მას შემდეგ, რაც ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანაში აქტიურად ჩაება საერთაშორისო თანამეგობრობა, გაჩნდა ჩიხიდან გამოსვლის გარკვეული იმედები, მაგრამ ამისთვის დრო ცოტაა დარჩენილი.

დიალოგის პროცესში ჩვენ ვილაპარაკეთ ყველაფერზე, რაზეც ლაპარაკი შეიძლებოდა. სამი სხვადასხვა გამოსავალი შევთავაზეთ მათ წინადადებებზე. 100/50 როცა თქვეს, აქაც მივანიშნეთ ამ ნაბიჯის გადადგმა რა ბალანსით შეიძლებოდა, ანუ ეს არის ის ბალანსი, რომელიც 40 პროცენტზე ნაკლები მხარდაჭერის მქონე პარტიას არ მისცემს საშუალებას, იყოს ერთპიროვნულად ხელისუფლებაში. მარტივია ეს ფორმულა და აქ რიცხვებში არ არის საქმე, პრინციპშია საქმე. ეს ყველაფერი მათთვის ცნობილია“, — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა**.

კრიზისიდან გამოსვლისთვის „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის **ბადრი ჯაფარიძის** განცხადებით, აუცილებელია შეწყდეს პოლიტიკური დევნა და პოლიტპატიმრები გათავისუფლდნენ.

„დიალოგისთვის არის ელემენტარული წესი დასაცავი, ერთი მხარე არ უნდა იყენებდეს ძალისმიერ ინსტრუმენტებს მეორე მხარის ერთ-ერთი წამყვანი წევრის დასაკავებლად მოლაპარაკების პროცესში. ამან ჩაშალა მოლაპარაკებები. თუმცა, ჩვენი მეგობარი ქვეყნების დიპლომატები ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ მაინც მოხდეს შეთანხმება, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემის სამართლიანობას და ქართველი ხალხის ნების ადეკვატურად ასახვას პარლამენტში და ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ. მოლაპარაკების და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლისთვის აუცილებელია შეწყდეს პოლიტიკური დევნა და გათავისუფლდნენ პოლიტიკური პატიმრები“, — ამბობს **ბადრი ჯაფარიძე**.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის **ირაკლი სესიაშვილის** განცხადებით, ხელისუფლების ოპონენტები რევოლუციური მიზნებისკენ ცდილობენ სიტუაციის წაყვანას, რაც პირველ რიგში, ქვეყნისთვის არის საზიანო.

„მმართველმა პარტიამ ოპოზიციას და საზოგადოებას შესთავაზა კომპრომისული ვერსია. სამწუხაროდ, მე ვხედავ რადიკალურ პოზიციებს, რომელიც არ არის ორიენტირებული იმ შედეგზე, რომ ქვეყანაში მშვიდობიანად, თავისუფალ რეჟიმში ჩატარდეს არჩევნები. ამიტომ მეჩვენება, რომ ჩვენი ოპონენტები რევოლუციური მიზნებისკენ ცდილობენ სიტუაციის წაყვანას, რაც, პირველ რიგში, ქვეყნისთვის არის საზიანო.

იმედი მაქვს, რომ ოპოზიციასთან ერთად მოხერხდება კომპრომისულ ვერსიაზე შეჯერება. რაც მთავარია, ყველამ უნდა გაიაზროს, რომ რევოლუციური მეთოდებით ქვეყანაში სიტუაციის არევა არავის გამოუვა. არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი და ცხადია, რომ ოპოზიცია შეეცდება საკუთარი ძალების მობილიზებას. ჩვენც ღირსეული კანდიდატები გვეყოლება და ცხადია, ორიენტირებულები ვართ გამარჯვებზე. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“, — განაცხადა **ირაკლი სესიაშვილმა**.

თამთა ქარჩავა

ჩინეთთან და ირანთან პირდაპირი ფრენების შეზღუდვით საქართველო თვეში 30 მილიონს კარგავს!

— ამის შესახებ **საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.**

მისივე თქმით, მიუხედავად დიდი ზარალისა, მთავარი მაინც მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვაა და მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობა დაცული იყოს.

ცნობისთვის, საქართველომ პრევენციის მიზნით, ჩინეთთან პირდაპირი ფრენები შეწყვიტა. ვირუსის ირანში გავრცელების შემდეგ კი, 23 თებერვალს, ამ ქვეყნიდან საქართველოში და პირიქით, ფიზიკური პირების გადაადგილება შეიზღუდა.

ასევე არ გამორიცხავენ მეზობელ ქვეყნებთან სახმელეთო საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვას.

შეგახსენებთ, ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა ალჟირში. ვირუსი გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის 37-მდე ქვეყანაში.

ლია კრიალაშვილი მთავარ პროკურორთან შეხვედრას ითხოვს

ლია კრიალაშვილი მისი ძმის, პოლკოვნიკ გია კრიალაშვილის გარდაცვალების საქმეზე ვანო მერაბიშვილის დაუყონებლივ პასუხისგებაში მიცემას ითხოვს. მან მთავარ საგამოძიებო ორგანოში მთავარ პროკურორთან შეხვედრის მოთხოვნით განაცხადი შეიტანა.

კრიალაშვილს მიაჩნია, რომ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს აუცილებლად უნდა წაუყენონ ბრალი. მას პრეტენზიები აქვს საგამოძიებო უწყებასთან და აცხადებს, რომ წლებია, ეს საქმე თაროზეა შემოდებული. რეალურად კი მისი განცხადებით, პოლკოვნიკის მკვლელობა სწორედ მერაბიშვილმა დაუკვეთა, ხოლო ბრძანების გამცემი ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

პოლკოვნიკ გია კრიალაშვილს ე.წ. მუხროვანის ამბოხის ორგანიზებასა და დაუმორჩილებლობაში ედებოდა ბრალი.

მაჟორიტარობის კანდიდატებზე შეთანხმება არ არსებობს

სახელებსა და გვარებზე შეთანხმება არ არსებობს. პარტიის შიგნით ვინ რომელ კანდიდატებზე მსჯელობს, ეს მხოლოდ მათი საქმეა. ყველა პარტია ამ ეტაპზე მხოლოდ საკუთარ მონახაზს აკეთებს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზაალ უდუმაშვილმა განუცხადა.



მისივე თქმით, **„მთავარი ამოცანა პროპორციული არჩევნებია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შერეული მოდელი დარჩა, ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ“,** — განაცხადა უდუმაშვილმა.

21 თებერვალს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თბილისში საკვანძო ადგილებზე მაჟორიტარობის კანდიდატებთან დაკავშირებით გვარების დონეზე შეთანხმება მიღწეულია.

თბილისის მერიის ახალი თვალსაწიერი

თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

ეს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დედაქალაქში 126 ერთეული BMC-ის მარკის 12-მეტრიანი ავტობუსი შემოვა და კომპრესირებულ ბუნებრივ აირზე (CNG) იმუშავებს.

ეს ავტობუსები თურქეთში იწარმოება და მათი აწყობა უახლოეს მომავალში დაიწყება.

„ჩვენი პრიორიტეტია, რომ არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი მთლიანად განვაახლოთ, მოვაწესრიგოთ, მგზავრობა კი კომფორტული იყოს. შესაბამისად, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა — ახალი ავტობუსების შესყიდვა უკვე დავიწყეთ. სულ ჩამოვიდა 220 ერთეული 8-მეტრიანი ავტობუსი და 90 ერთეული 10-მეტრიანი ავტობუსი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს, გამოყოფილია თანხები და გამოცხადებული იყო შესყიდვა 12-მეტრიან ავტობუსებზე. გვყავს გამარჯვებული კომპანია „თეგეტა მოტორსი“, რომელიც ვალდებულია, შემოიყვანოს 126 ერთეული BMC-ის მარკის ავტობუსი, რომელიც თურქეთში იწარმოება და ბუნებრივ აირზე (CNG) მუშაობს. უახლოეს მომავალში დაიწყება მათი აწყობა-წარმოება და შემდეგ უკვე დედაქალაქში შემოყვანა“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

დედაქალაქის მერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უახლოეს მომავალში ქეთევან დედოფლის გამზირის კაპიტალურ რეაბილიტაციას დაიწყებს. რეაბილიტაცია მეტროსადგურ „ავლაბრიდან“ ლეხ კაჩინსკის ქუჩამდე არსებულ საგზაო მონაკვეთს ჩაუტარდება.

ამასთან, გლდანის რაიონში, ბოჭორიშვილისა (ყოფილი ხიზაბავრის) და ხარაძის ქუჩებზე საგზაო სამუშაოები უხარისხოდ ჩატარდა, რის გამოც, შემსრულებელ კომპანიას ქუჩების მოწესრიგება საკუთარი ხარჯებით დაევალა.

დედაქალაქის მერმა სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს მიმართა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ხარისხიანად შეასრულონ, რადგან საქმე დედაქალაქში არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხება.

„მინდა, სამშენებლო კომპანიებს კიდევ ერთხელ მოვუწოდო — კეთილი ინებეთ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულეთ. ჩვენ მეტს არაფერს გთხოვთ. გვინდა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები მაღალ დონეზე ჩატარდეს და დროულად დასრულდეს. არ ვაპირებთ, თავი დავუხაროთ ასეთ გადაცდომებს და უხარისხოდ წარმოებულ სამუშაოებს. ამ კომპანიას თავისივე ხარჯებით ორივე ქუჩის მოწესრიგება მოუწევს. ეს ქალაქი მარტო ჩემი, მთავრობის წევრების არ არის. ეს ქალაქი ყველასია და თქვენგანაც გვჭირდება თანადგომა, რომ ერთად გავალამაზოთ და მოვაწესრიგოთ ის. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ორივე ქუჩა მოწესრიგდება და სალაპარაკო არ გახდება“.

კახა კალაძემ ყურადღება მეორადი საბურავების, ჯართის, ამტვერებადი და ფეთქებადი მასალების რეალიზაციაზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ საცხოვრებელ და რეკრეაციულ ზონებში მათი შენახვა-რეალიზაცია 2021 წლის პირველი იანვრიდან აიკრძალება.

მტვრის შემცირებისა და ადამიანების უსაფრთხოების დაცვისკენ მიმართული ახალი რეგულაციის შესახებ კანონპროექტის დროულად მომზადება და საკრებულოში გადაგზავნა კახა კალაძემ შესაბამის სამსახურებს დაავალა.

მისივე თქმით, მუნიციპალიტეტის ინიციატივით, შეფუთვის გარეშე სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით სანქციების შესახებ ერთი წლის წინათ მიღებულმა კანონმა ეფექტიანად იმუშავა და ამ დრომდე, სამართალდარღვევის 415 ფაქტი გამოვლინდა. მისივე თქმით, მოქმედი რეგულაციები საკმარისი არ არის და ქალაქში არსებული ეკოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებით, ახალი რეგულაციების მიღება აუცილებელია.

მისივე თქმით, კანონს ზოგიერთ შემთხვევაში, თბილისის მერიის კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლებიც არღვევდნენ, როდესაც ქუჩებში ქვის მშრალი წესით დამუშავებას ახდენდნენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც თბილისის მერმა ისაუბრა, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებაა, რისთვისაც დედაქალაქის მთავრობამ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგა.

„კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მიხარია, რომ ჩვენ დედაქალაქის ის მთავრობა ვართ, რომელმაც ამ კონკრეტული პრობლემის მოგვარება და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ეს პრობლემა უკვე რამდენიმე ათეული წელია არსებობს, რის გამოც, დაზარალებულად 3 000-ზე მეტი ოჯახია ცნობილი. ცხრა მიწის ნაკვეთზე უკვე გვქონდა გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა და საერთო ჯამში, დაზარალებულ ოჯახებს 58 300 კვადრატული მეტრის თეთრი კარკასის საცხოვრებელი ფართები უნდა გადაეცეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე — „ისწავლე და დასაქმდი“ მსურველების განაცხადების მიღება მარტში დაიწყება.

მისი თქმით, პროგრამა უკვე ორი წელია, წარმატებით ხორციელდება, თუმცა წელს თანხები გაორმაგებულია და უფრო მეტი ადამიანი შეძლებს გადამზადებას.

თბილისის მერმა მსურველებს მოუწოდა, განაცხადები შემოიტანონ და გამოიყენონ შესაძლებლობა, რომ უფასოდ გადამზადდნენ.

„ისწავლე და დასაქმდი“ მოკლევადიან, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს მოიცავს, რომლებიც აგებულია თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და არის სერტიფიცირებული. სპეციალობები განისაზღვრა შრომის ბაზრის კვლევისა და კოლეჯების პარტნიორი კომპანიების გამოკითხვის შედეგად. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირებას. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. პროგრამა ოთხ სახელმწიფო კოლეჯში, 38 სპეციალობაში განხორციელდება და პირველ ეტაპზე 1 107 ბენეფიციარი ეყოლება.

„ქართუს“ მიერ განულებულ სესხებს მოსახლეობას არავინ არ სთხოვს!

ერთ კვირაზე მეტია სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდება, რომ მოსახლეობას განულებული სესხების გადახდას ხელახლა სთხოვენ. ამიტომ „პრობლემურ მსესხებელთა უფლებადამცველი ასოციაცია“ მოქალაქეებს მიმართავს, რომ აიღონ სესხის განულების ცნობა, სადაც გარკვევით იქნება ნათქვამი, რომ მათ ამა თუ იმ კომპანიის დავალიანება აღარ აქვთ.

მთავრობამ 2018 წლის დეკემბერიდან პრობლემური სესხების განულება დააანონსა. საბოლოოდ პროგრამა ე.წ. შავ სიაში მოხვედრილ 600 000 ადამიანს შეეხო, რომელთაც ერთ წელზე უფრო მეტად ვადაგადაცილებული სესხები ჰქონდათ.

ახლა კი ვითარება შეიცვალა. ადვოკატ **მარიკა არველაძის** თქმით, მოქალაქეებს პრობლემური აქტივების ბიუროდან უკავშირდებიან.

„პრობლემის გარკვევის მიზნით „ქართუ ფონდს“ გარკვეული კითხვებით მივმართე. მაგალითად, რამდენი სესხის განულება მოხდა პროგრამის ფარგლებში, თითოეული კომპანიიდან რამდენი პრობლემური აქტივი იქნა შეძენილი, ვის უნდა მიმართონ პროგრამაში ჩართულმა პირებმა, რათა აიღონ განულებულ სესხებზე ცნობები დავალიანების არქონის შესახებ.

გვაინტერესებს, ამ სესხების შესახებ ინფორმაცია სად ინახება. გამსესხებლებთან მიდიან ადამიანები და ეუბნებიან, რომ „ქართუ ფონდში“ მივიდნენ, „ქართუ ფონდში“ მიდიან და გამსესხებლებისკენ ამისამართებენ. რაღაც წრე შეიკრა, საიდანაც ინფორმაციის ამოღება შეუძლებელი გახდა“, — აღნიშნა მარიკა არევაძემ.

კომპანიის დირექტორი **ნიკა ეზუგბაია** კი ამბობს, რომ შეუძლებელია, რომელიმე სესხის ამომღებმა კომპანიამ მომხმარებელს სესხის გადახდა ხელმეორედ, შეგნებულად მოსთხოვოს.

„როდესაც სესხი იხურება, ჯერ იხურება პროგრამაში, შემდეგ იგზავნება „კრედიტ ინფოში“ და ა.შ. რა თქმა უნდა, შეიძლება მოხდა ისეთი გამონაკლისი და ტექნიკური ხარვეზი, რომ თუნდაც ჩვენმა კომპანიამ ან სხვა კომპანიამ კლიენტს დაურეკა და ამის შესახებ უთხრა. ეს შემთხვევითობაა.

ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ კლიენტი მოსულიყო ან მისი წარმომადგენელი დაგვკავშირებოდა, აეხსნა, რომ სესხი დახურულია და პრობლემა არ მოგვარებულიყო. ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია. აბსურდია იმაზე საუბარი, რომ კომპანია ავალებს თავიანთ თანამშრომლებს, ხელახლა დაურეკოს ადამიანს. ეს ჩვეულებრივი კანონდარღვევაა და ამას არავინ იზამს. ყველა სესხი, რომელიც ნულდება, იყიდება, გადაიყიდა თუ რაც მოხდება, ყოველკვარტალური ანგარიში ეროვნულ ბანკში, ჩაშლილი სახით მიდის,“ — განუცხადა „კომერსანტს“ ეზუგბაიამ.

დიდი მითძმა-მოთძმის შემდეგ სპეციალური განცხადება გააკეთა საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდმა ქართუმ“:

„რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელებში განულებული ვალების პროგრამის შესახებ არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. ვაცხადებთ, რომ 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქართუს“ მიერ, ერთჯერადი სოციალური სოლიდარობის აქტის ფარგლებში, განხორციელდა ფიზიკური პირების პრობლემური ვალდებულებების შესყიდვა საქართველოში მოქმედი 55 ფინანსური ინსტიტუტისგან. აღნიშნული სესხების შეძენის მიზანს მისი შემდგომი პატიება წარმოადგენდა, რაც განხორციელდა კიდეც.

შეძენილი პორტფელის მოცულობიდან გამომდინარე, პატიების პროცესი გრძელდებოდა 2019 წლის განმავლობაში და ეტაპობრივად ხდებოდა შესაბამისი საკრედიტო სტატუსის ასახვა სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ ბაზებში.

„ფონდი ქართუ“ კიდევ ერთხელ აცხადებს და ადასტურებს, რომ მიმდინარე ეტაპზე შეძენილი სესხების პატიება განხორციელებულია სრულად იმ ფიზიკური პირებისთვის, ვისი სასესხო ვალდებულება და მონაცემებიც მოწოდებული იქნა ამა თუ იმ ფინანსური თუ საკრედიტო ორგანიზაციისგან და აღარ არსებობს აღნიშნულ ვალდებულებებზე რაიმე სახის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, ყველანაირ საფუძველს მოკლებულია გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ფონდი ქართუ“ გეგმავს ან ახორციელებს აღნიშნული სესხების დაფარვის მოთხოვნას.

აქვე დავძენთ, რომ „ფონდი ქართუს“ მიერ სრულად იქნა შეძენილი 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში ფინანსური ინსტიტუტების მიერ შერჩეული და გადმოცემული სესხები, შესაბამისად, თუ რომელიმე პირის ვალდებულებები ვერ მოხვდა სოციალური სოლიდარობის აქტის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში, ფონდი მოკლებულია შესაძლებლობას, აღნიშნულთან დაკავშირებით გააკეთოს რაიმე კომენტარი ან აიღოს პასუხისმგებლობა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფინანსური ინსტიტუტი ან სხვა პირი ითხოვს ჩვენ მიერ შეძენილი სესხების დაფარვას, მოვუწოდებთ დაინტერესებულ პირებს, თავიანთი აქტიური ვალდებულებების სტატუსი გადაამოწმონ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო „კრედიტინფოში“, — აღნიშნულია „ქართუს“ განცხადებაში.

გეძა დანელია

ჩვენი წარსულის ამაღლებისა და დაცემის მატიანე



საქართველოს წარსულზე ბევრი კარგი წიგნი გამოდის დღის სინათლეზე, რომელთა განხილვა და ღირსეული ადგილის მიჩენა, კარგისა და უფრო კარგის დადგენა, ისტორიის კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ხშირია შემთხვევა, როდესაც საკმაოდ მდარე დონის ნაშრომს მკვლევართა გარკვეული ნაწილი ქება-დიდებით მოიხსენიებს, მაგრამ ასევე ხშირად ბევრი წიგნი განსჯის მიღმა რჩება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარდასულ დღეთა მეცნიერულ შეფასებას. კარგად არის ცნობილი, რომ ისტორია უნდა დაწეროს პროფესიონალმა ისტორიკოსმა და არა ლამაზსიტყვაობას გამოდევნებულმა მოყვარულმა. ისტორიაზე წერა ბევრს იოლ საქმედ მიაჩნია, რაც განუზომლად ზრდის ნახევრად საისტორიო შინაარსის თხზულებათა რაოდენობას. ამ სიმრავლეში ქართული კლიოს უეჭველ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს პროფ. ავთანდილ წოწკოლაურის წიგნი, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვით XIX საუკუნემდე“ (თბ. 2017). წიგნის მიზანდასახულობა უაღრესად საპასუხისმგებლოა, წარმოადგენს ლექციების კურსს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. ავტორი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოგვითხრობს ქართველთა მრავალსაუკუნოვან თავგადასავალს მოყოლებულს ლეგენდარული პერიოდიდან. განსაკუთრებულ ხაზგასმას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თითქოს კარგად ცნობილი ისტორიული პროცესები დალაგებულია საკითხების ღრმა ცოდნით. ნაშრომისადმი ინტერესს ზრდის ის რეალობა, რომ ვრცელი ამბები და მოვლენები გადმოცემულია მოკლედ, ყოველგვარი მრავალსიტყვაობის გარეშე, მაგრამ პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, რაც ავტორის ხანგრძლივი კვლევისა და ფიქრის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ა. წოწკოლაური უხმაუროდ ემსახურება საქართველოს ისტორიას. მისი ლაკონიური მსჯელობები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ წარსულზე წერა არის ხელოვნება. წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი, მეცნიერების თანამედროვე დონის გათვალისწინებით, საინტერესოდ და მიმზიდველად წარმართავს თხრობას. წიგნის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს რეალობა, რომ „საქართველოს ისტორიის“ მკითხველის წინაშე გადაშლილია ქართველი ერის თავგადასავალი, მოყოლებული ქვის ხანიდან. ა.წოწკოლაური თანამიმდევრობით ალაგებს არქეოლოგიური აღმოჩენების მონაცემებს და მოკლედ გვაცნობს ბრინჯაოს ხანაში მცხოვრები ტომების ეკონომიკურ და განსაკუთრებით კულტურულ მდგომარეობას. წიგნში ძველაღმოსავლური ლურსმული წარწერების ინფორმაციათა მოშველიებით საინტერესოდ გადმოცემულია ქართველური ტომების (დაიაენი, კოლხა-კოლხეთი) ლეგენდარული ისტორია. საყურადღებოდ მიგვაჩნია ავტორის მსჯელობა ელინისტური პერიოდის ქართლის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომლის გვირგვინსაც წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების წარმოშობა. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის მოღვაწეობის მნიშვნელობას. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით წიგნში მოთხრობილია ფარნავაზისა და ქუჯის კავშირი უცხო ძალის სათავეში მდგომი აზონის წინააღმდეგ. საყურადღებოა ერთი მეტად საყურადღებო გარემოება: ფარნავაზისა და მომდევნო საუკუნეების ქართლის მეფეების რეალობას ანტიკური მწერლობა დუმილით უვლის გვერდს. ა.წოწკოლაური მიჰყვება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას და მსჯელობს ხშირად დროსა და სივრცის გარეშე არსებულ მეფეებზე და მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე (აღნიშნული შუქ-ჩრდილები ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია და დასკვნები ძირითადად ვარაუდებზეა აგებული).

ძველი საქართველო ბერძენ-რომაელი ავტორების ინტერესთა არეალში მოექცა რომაელი მხედართმთავრის გნეუს პომპეუსის აღმოსავლური ლაშქრობის დროიდან (სამწუხაროა, რომ ქართული მატიანეები პომპეუსსა და მის მოწინააღმდეგეს, აღმოსავლეთის მრისხანე მბრძანებელს, პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორს არ იცნობენ).

ახ.წ. I საუკუნის დასაწყისიდან რომის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურების შედეგად თვალსაჩინო ხდება საქართველოთი დაინტერესების ფაქტები. აღნიშნული პრობლემა კარგად არის განხილული წიგნში. ხაზგასმითაა გამოკვეთილი იბერიის როლი პართია-სპარსეთისა და რომის დაპირისპირებაში. ანტიკური ავტორების ცნობებით, იბერია გამოდიოდა რომის საიმედო მოკავშირედ, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველი უფლისწულის მითრიდატეს გამეფება სომხეთში. რომთან ურთიერთობის გაღრმავების დამადასტურებელია მცხეთაში აღმოჩენილი, 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა. ნაშრომის დიდ ღირსებად მიგვაჩნია ადრიანესა და ანტონინუს პიუსის ეპოქაში მცხოვრები იბერიის მეფის ფარსმან მეორის მოღვაწეობის დახასიათება, რომელიც ქართულ მატიანეში „ქველის“ კოგნომენით არის სახელდებული. ფარსმანის დიპლომატიური შორსმჭვრეტელობის მწვერვალს წარმოადგენდა ელჩობა რომში, რომელსაც შედეგად მოჰყვა ცხენზე ამხედრებული იბერიის მეფის ძეგლის აღმართვა მარსის მოედანზე (აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ წყაროებში დაცული არ არის, მაგრამ აღნუსხული აქვთ ანტიკურ ავტორებს).

ა. წოწკოლაური შედარებით ვრცლად მსჯელობს III-IV საუკუნეების ქართლის პოლიტიკური ცხოვრებისა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ და აღნიშნავს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოვლენას ქართული სულიერი კულტურის აღმავლობაში.

ლექციების კურსში კარგად არის ნაჩვენები ქართველთა ბრძოლები სპარსელების, რომაელების და არაბების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საყურადღებოდ არის განხილული სასანიდებისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაპირისპირება. ლაზიკის პრობლემა რომისა და სპარსეთის ეპიცენტრს წარმოადგენდა. ომის დროს კარგად გამოჩნდა ლაზების მხრიდან საერთაშორისო მოვლენებში წვდომის მაღალი დონე.

წიგნში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის განხილული პოლიტიკურ თავგადასავალთან ერთად სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფეხურები. დიდი ყურადღება ეთმობა ურთიერთობას გარე სამყაროსთან, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა ქვეყნის განვითარებაზე.

ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს საუკუნეების მანძილზე ქართველთა ამაღლებისა და დაცემის ეპიზოდებს. არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდს და ქართველთა თავგანწირული წინააღმდეგობის ცალკეულ ეპიზოდებს. ნაშრომში კარგად არის დალაგებული ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნის ისტორია და გაერთიანებისათვის ბრძოლის დასაწყისი. აღნიშნულ ეპოქაში ხაზგასმითაა აღწერილი ბიზანტიური აგრესიის გააქტიურება და ქართველ მეფეთა შორსმჭვრეტელობა, რაც ქვეყნის გაერთიანების საფუძველი გახდა. ავტორი მსჯელობს თურქთა შემოსევების უარყოფით შედეგებზე.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა გაერთიანებული საქართველოს მეფეების (დავით აღმაშენებლის, დემეტრე I-ის, გიორგი III-სა და თამარის) შეუდარებელ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, რომელმაც ჩვენი სამშობლო იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

დავით აღმაშენებლის რეფორმებმა (მმართველობის, სამხედრო, საეკლესიო, სასამართლო) შექმნა მონარქიული მმართველობის მთელი სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ორგანიზებულ სამხედრო აპარატს, არნახული საომარი მოქმედებით რომ გაამდიდრა ქართული საომარი ხელოვნების ისტორია (საკმარისია დიდგორის ბრძოლის დასახელება).

ქართული სახელმწიფოებრიობის აყვავების ოქროს ხანა ერთი ასწლეული გაგრძელდა. XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან დადგა ძნელბედობის უმძიმესი ჟამი, რომელმაც სისხლითა და ოფლით შექმნილი სიმაღლე ნამსხვრევებად აქცია. ა. წოწკოლაური დეტალურად აღწერს ბარბაროსი მონღოლი ურდოების მიერ მიწაზე დანარცხებული საქართველოს თავს დატეხილ ღვთის რისხვას, რომლისგან წამოდგომაც შეუძლებელი გახდა და მომდევნო საუკუნეებში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მოიკვლევდა გამრუდებული წუთისოფლის ეკლით მოფენილ გზას. დამპყრობელთა უღლის გადაგდების შემდეგ ხერხემალში გადატეხილი საქართველო ვეღარ გასწორდა და ოქროს ხანის აჩრდილის სახით აგრძელებდა არსებობას. საბედისწერო აღმოჩნდა თემურ ლენგის ამაოხრებელი ლაშქრობები. XV საუკუნე უმძიმესი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ირანში შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანულ ტომთა გაბატონებამ, ხოლო სამხრეთით თურქსელჯუკთა გაძლიერებამ და კონსტანტინოპოლის დაცემამ საქართველო მოწყვიტა ქრისტიანულ სამყაროს. პარალელურად ფართო გასაქანი მიეცა თანდაყოლილ სენს – სწრაფვას განკერძოებისაკენ, რაც დამთავრდა სამეფო-სამთავროებად დაშლით. მომხდარმა ტრაგედიამ საბედისწერო როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საქართველო გადაიქცა ირანისა და ოსმალეთის სათარეშო ასპარეზად. მთელი რიგი ტრაგიკული სცენები, რიგითი ადამიანებისა და გვირგვინოსნების ტყვეობა აღნიშნულ პერიოდში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. XVII-XVIII საუკუნეების ბარბაროსულმა შემოსევებმა ნანგრევებად აქცია ქალაქები და სოფლები, ყოველივე ეს იწვევდა მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას. ძნელბედობის სიმძიმეს ზრდიდა მტრის მხარეს მიკედლებულ მოღალატეთა განუკითხაობა. წიგნში გამოკვეთილად არის აღწერილი უხილავ სიბნელეში ჩავარდნილი, ღვთის იმედად დარჩენილი ქვეყნის მომავალი. ერის მამები ხსნის გზებს ეძებდნენ. სისხლისგან დაცლილი ერი, იმედგადაწურული, იძულებული გახდა, მფარველობა რუსეთისათვის ეთხოვა. ამ ნაბიჯმა ჩვენი ქვეყანა ეროვნული დამოუკიდელობის დაკარგვამდე მიიყვანა, მაგრამ მუსლიმანური სახელმწიფოების აგრესიისა და ქრისტიანული რწმენის უარყოფისაგან თავი დაიხსნა (მშველელის ძიების პროცესი დღესაც არ არის დამთავრებული).

წიგნი საქართველოს ისტორიის ტრაგედიით მთავრდება. მფარველობითი ტრაქტატის საფარველის ნიღბით რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო- სამთავროები თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა.

ა. წოწკოლაურის ნაშრომში ასახულია ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე, არ არის გადატვირთული გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის მითითებით (წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა დართული აქვს ყოველი თავის ბოლოს). წიგნში ლაკონიურად არის გადმოცემული ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხები და დართული აქვს შესაბამისი კომენტარები, რაც სავსებით ამართლებს იმ მიზანს, რომელიც დაუსახავს ავტორს. წიგნის დიდ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ყოველ თავს მოსდევს ქართული კულტურის მოკლე და საფუძვლიანი მიმოხილვა, რისი ცოდნაც აუცილებელია ახალგაზრდობისათვის.

რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც, მაგრამ ა.წოწკოლაური საერთოდ მიღებულ აზრს მიჰყვება და იმ საკითხების სიღრმეში არ შედის, რაც წიგნის დანიშნულებას სცდება (ასეთად მიგვაჩნია ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და მირიანის ეთნიკური წარმომავლობა, მაგრამ ეს პრობლემა, ალბათ, დიდხანს დარჩება სადავოდ. მსგავს მარადიულ საკითხებს ყველა ეპოქა თავის შეფასებას მისცემს). მთლიანობაში ა. წოწკოლაურის წიგნი „საქართველოს ისტორია“ შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს და დიდად დაეხმარება არა მარტო სტუდენტობას, არამედ მშობლიური ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერი ასაკის ქართველს, რადგან მასში თანამიმდევრულად არის აკინძული ჩვენი წარსულის ამაღლებისა და დაცემის უმნიშვნელოვანესი საფეხურები. თხრობა წარმართულია ნათელი ფერებით, რაც აადვილებს მის შინაარსში წვდომას და ნათლად გვიშლის ისტორიის ბურუსით მოცულ ფურცლებს. წიგნი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა ძალმოსილების გმირულ ეპიზოდებზე, მაგრამ ხაზგასმულია ღრმა მწუხარება დაცემის ფაქტებზეც, რომელთა რიცხვი საუბედურო ჩვენს ისტორიაში იშვიათობას არ წარმოადგენდა. ნაშრომში თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ქართველთა მეომრული სული, ნაჩვენებია, რომ ქართველები წუთისოფელს ბრძოლის ველზე ატარებდნენ, ზოგნი მტერს ერკინებოდნენ, ზოგნი – საკუთარ სამშობლოს.

ასეთი იყო ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა, რაც სარეცენზიო ნაშრომში თვალსაჩინოდ არის გადმოცემული და სისრულით ასახავს საქართველოს ისტორიას XIX საუკუნის დასაწყისამდე. ა. წოწკოლაურის წიგნზე თავისუფლად შეიძლება, გავიმეოროთ რომაელი ისტორიკოსის ლუციუს ანეუს ფლორუსის თხზულებისა („რომის მოკლე ისტორია“) და მისი ავტორის მისამართით გამოთქმული შეფასება: „Nemo verius, nemo brevius, nemo ornacius“ (არავინ ზუსტად, არავინ მოკლედ, არავინ ლამაზად).

გრანი ქავთარია

◎ სულიერება

შიომღვა



27 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია შიო მღვიმელს იხსენიებს. სასწაულმოქმედი შიოს ხსენება აღინიშნება ყველიერის ხუთშაბათს.

...სხალტბის ქედის ძირში სართულებად განლაგებული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულების წინ მდებარეობს დიდებულ ნაგებობათა კომპლექსი – შიომღვიმე.

აღსანიშნავია ის, რომ შიომღვიმეს მონასტერი ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერია, რომელიც მას დაუარსებია VI საუკუნის მეორე ნახევარში. ის იოანე ზედაზნელის მოწაფე ყოფილა.

შიო მღვიმელს ადრე აძღვრია სურვილი მონაზვნად შედგომისა და განმარტოებით ცხოვრებისა.

საგულისხმოა ისიც, რომ 547 წელს შიო მღვიმელი მარტო გამოემგზავრა მცხეთისკენ და მის მახლობლად გამოქვაბულში დაიდო ბინა. მალე მან სახელი გაითქვა და საჭირო გახდა ეკლესიის დაარსება. ეკლესიამ მიუერთეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას. ეს მღვიმე იქცა დიდ სიწმინდედ და მონასტერსაც უწოდეს შიო მღვიმე (შიომღვიმე).

ქართველი მეფეები: დავითი, თამარი, გიორგი მონასტერს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ.

P. S. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოსაყდრე მეუფე შიოს ვულოცავთ ამ დღესასწაულს.

გიული ლიპარტია

ადგურ არძინბა: არავითარი დიალოგი საქართველოსთან, ის ჩვენი მტერია!

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, მოქმედი „ვიცე-პრემიერი“ ადგურ



არძინბა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიალოგის წინააღმდეგია. ეს პოზიცია მან გუშინ დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან წინასაარჩევნო შეხვედრაზე გამოხატა.

„მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მხარდაჭერა აქვს ჩვენს მტერს. ისინი დღე და ღამე აძლიერებენ თავის ჯარს. საქართველოსთან არანაირი დიალოგი არ უნდა იყოს. ის ჩვენი მტერია. დიალოგზე ფიქრიც კი დაუშვებელია. ჩვენ გვაქვს საკითხები, რომელშიც ერთობლივად ვმუშაობთ. მაგალითად, ენერგეტიკა. არ ღირს სიჩქარე და მატარებლის წინ სირბილი. ვისთან უნდა ვაწარმოოთ დიალოგი? ხალხთან, რომელიც დილიდან დაღამებამდე წვრთნებს მართავს და წარმოსახვაში ატრიალებს სცენარს, როგორ ჩამოვა აქ – სოხუმში?! აღიარონ ჩვენი დამოუკიდებლობა, ის კოლოსალური ზიანი, რომელიც ჩვენს ეკონომიკას მიაყენეს და მაშინ ვისაუბროთ“, – აღნიშნა მან.

თბილისთან დიალოგს მხარს უჭერენ დე ფაქტო პრეზიდენტობის ოპოზიციონერ კანდიდატ ასლან ბჟანიას გუნდში.

დიალოგის მომხრეა პარტია „ერთიანი აფხაზეთის“ თავმჯდომარე სერგეი შამბაც.

ცნობისთვის: ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები 22 მარტისთვისაა დაგეგმილი. ძირითადი კანდიდატები ოპოზიციის ლიდერი ასლან ბჟანია, დე ფაქტო ვიცე-პრემიერი ადგურ არძინბა და შს დე ფაქტო ექს-მინისტრი ლეონიდ ძიაფშბა არიან.

სანქციები ერთი წლით გახანგრძლივდა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უკრაინის გამო რუსეთისთვის დაწესებული სანქციები ერთი წლით გაახანგრძლივა. დონალდ ტრამპის თქმით, რუსეთის პოლიტიკა კვლავ საფრთხეს უქმნის აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს და საგარეო პოლიტიკას. ამის შესახებ საუბარია ოფიციალურ შეტყობინებაში, რომელიც თეთრმა სახლმა გაავრცელა.

აშშ-მა ყირიმის უკანონო ანექსიისა და დონბასში სამხედრო ჩარევის გამო რუსეთის წინააღმდეგ სანქციები პირველად 2014 წელს დააწესა. ტრამპის ადმინისტრაციამ შეზღუდვების მოქმედების ვადა 2018 წელს გაახანგრძლივა.

ასადი სკოლებსა და საავადმყოფოებს ბომბავს

სირიაში, პროვინცია იდლიბში, ასადის არმიის იერიშების შედეგად 20 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. მათ შორის ცხრა ბავშვია.

სირიის არმიის სამიზნეებს შორის იყო სკოლები და საავადმყოფოები. იერიშები მიიტანეს როგორც ქალაქ იდლიბზე, ისე მის შემოგარენზეც. ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა ბაშარ ასადის ჯარისკაცების ქმედებას „ბარბაროსობა“ უწოდეს. სირიის არმიის იერიში პროვინცია იდლიბზე უკვე რამდენიმე კვირაა გრძელდება.

არეულობა ინდოეთში

ინდოეთში მოქალაქეობასთან დაკავშირებით ახალი კანონის გამო ინდუისტებსა და მუსლიმებს შორის შეტაკება მოხდა. არეულობის შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულებთან ერთად, არიან დაშავებულებიც. ექიმების ინფორმაციით, 15 პაციენტი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების განმუხტვა პოლიციამ ცრემლსადენი აირით სცადა, თუმცა დაპირისპირებული ჯგუფები ერთმანეთის მიმართულებით ქვებს ისროდნენ. არეულობის დროს გაისმა სროლის ხმაც. ექიმების ინფორმაციით, პაციენტების ნაწილს ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული. ინდოეთის დედაქალაქში არეულობა მოქალაქეობასთან დაკავშირებით ახალმა კანონმა გამოიწვია. მოსახლეობის ნაწილი მის მხარდასაჭერად, ნაწილი კი მის წინააღმდეგ ქუჩებში გავიდა, რასაც საბოლოო ჯამში რელიგიურ ჯგუფებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

ყოფილ პრეზიდენტს ბრალი წაუყენეს



ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტ ალმაზბეკ ატამბაევს მასობრივი არეულობის მოწყობისა და ძალის გამოყენებით ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობისთვის ბრალი წაუყენეს.

491-გვერდიან აქტში ჩამოთვლილ ბრალდებებს შორის არის მასობრივი არეულობის მოწყობა, ხელისუფლების ძალის გამოყენებით ხელში ჩაგდება, მკვლელობა, სამართალდამცველებზე თავდასხმა, მძევლების აყვანა და სხვა დანაშაულები. საქმე ეხება 2019 წლის აგვისტოში სოფელ კოი-ტაშთან მომხდარ შეტაკებებს, რა დროსაც, 225 ადამიანი დაშავდა, ერთი სპეცრაზმელი კი დაიღუპა. ალმაზბეკ ატამბაევი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მას ბრალი ასევე ედება კორუფციასა და სიმდიდრის უკანონო მოხვეჭაში.



რამდენად გვიცავს პირბადე ახალი კორონავირუსისგან

ახალი კორონავირუსისგან თავდაცვის მრავალ საშუალებას შორის, პირბადის ტარება ხალხში განსაკუთრებით პოპულარულია. თუმცა, ჯანდაცვის ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ ის პრევენციის არც ისე ეფექტიანი საშუალებაა.

„ადამიანები პირბადეში თავს დაცულად გრძნობენ, მაგრამ ის ნამდვილად არ გახლავთ პრევენციის ეფექტიანი საშუალება“, – ამბობს ჯონს ჰოპკინსის ჯანდაცვის უსაფრთხოების ცენტრის მეცნიერი ერიკ ტონერი.

ჩინეთის ქალაქ უხანიდან დეკემბრის ბოლოს გავრცელებულმა კორონავირუსმა უკვე 2700-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, მსოფლიოს 40 ქვეყნის მასშტაბით ინფიცირებულია 81 000-ზე მეტი პირი.

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალს სამედიცინო ნიღბების ტარებისკენ მოუწოდებს, რაც ნერწყვისა და ნახველის გზით კორონავირუსის გავრცელების რისკებს ამცირებს. თუმცა, ჩვეულებრივი ადამიანისთვის პირბადე ბევრს არაფერს ნიშნავს.

პირბადის დანიშნულებაა, შეაკავოს ვირუსით დაბინძურებული მსხვილი ნაწილაკები (ნერწყვის ან ნახველის). არსებობს ორი სახის ნიღაბი – ქირურგიული და №95 აირწინაღი.

№95 აირწინაღი ჰაერში არსებულ ნაწილაკთა დიდ ნაწილს ფილტრავს და ადამიანს 0,3 მიკრონზე ნაკლები დიამეტრის მქონე ნაწილაკის შესუნთქვისგან იცავს. ამ ტიპის ნიღბებს ძირითადად გამოიყენებენ მაშინ, როდესაც ჰაერი ხანძრებისგან ან გამონაბოლქვისგან არის დაბინძურებული.

ჟურნალ The Lancet-ში გამოქვეყნებული ახალი კვლევის მიხედვით, კორონავირუსის ზომები 0,5-0,2 მიკრონს შორის მერყეობს.

რაც შეეხება ჩვეულებრივ, ქირურგიულ ნიღაბს, რომელიც ჩვენში განსაკუთრებით პოპულარულია, მისი დანიშნულებაა, შეაკავოს ნერწყვისა და ნახველის წვეთების გადაცემა ერთი პირისგან მეორეზე ან ახლომდებარე საგნებზე. შესაბამისად, მისი უპირველესი დანიშნულებაა, შეაჩეროს ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის პირის ღრუდან მიკრობების გადაცემა მათივე პაციენტებზე.

გარდა ამისა, ბევრი ადამიანი ორივე ტიპის ნიღაბს არასწორად ატარებს. ხშირად ისინი ნიღაბს იწევენ, რათა საკუთარ სახეს შეეხონ, ამით კი არღვევენ იმ ბარიერს, რისთვისაც ნიღაბია შექმნილი. შედეგად, საგრძნობლად მცირდება მისი ეფექტი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ახალი კორონავირუსის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ხელების ხშირად დაბანა საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით; ხველებისა და ცემინების დროს ცხვირსახოცის ან მოხრილი იდაყვის აფარება; იმ ადამიანებთან ახლო კონტაქტისგან თავშეკავება, რომლებსაც აქვთ სიცხე, ახველებენ ან აცემინებენ; და, რა თქმა უნდა, სიცხის, ხველისა და სუნთქვის გაძნელების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.

მიხეილ ჭაბუკაშვილი.

მომზადებულია Business Insider-ისა და Live Science-ის მიხედვით.

ვაქცინების ტესტირება დაიწყო

ბიოტექნოლოგიურმა კომპანიამ Moderna Therapeutics-მა, რომელიც მასაჩუსეტსშია ბაზირებული, კორონავირუსის ვაქცინის პირველი პარტია სატესტოდ გაგზავნა. ვაქცინა 42 დღეში შექმნეს მას შემდეგ, რაც იანვრის შუა რიცხვებში ჩინელმა მეცნიერებმა ვირუს COVID-i9-ს გენეტიკური მონაცემები წარმოადგინეს.

ვაქცინის პირველი პარტია ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნულ ინსტიტუტში გაიგზავნა, სადაც მას ტესტირებისთვის მოამზადებენ და აპრილიდან პაციენტებზე გამოცდიან. ნებრასკის უნივერსიტეტში კი უკვე დაიწყო კიდევ ერთი პრეპარატის „რემდესივერის“ კლინიკური ტესტირება.

ამჟამად მისი გამოცდა კორონავირუსით დაავადებულ ადამიანებზე მიმდინარეობს. პირველი პაციენტი, ვინც „რემდესივერს“ იღებს, იაპონური საკრუიზო გემიდან აშშ-ში ევაკუირებული მოქალაქეა. პრეპარატი მანამდე ცხოველებზე გამოსცადეს, რომლებიც SARS-სა და MERS-ის ვირუსებით იყვნენ ინფიცირებული.

25 თებერვალს აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა ამერიკელები გააფრთხილა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის ეპიდემიის გავრცელებისთვის მოემზადონ. აშშ-ში კორონავირუსის 57 შემთხვევა გამოვლინდა.

დაცარიელებული ვენეცია

ვენეციის ცენტრში ცნობილ სან-მარკოს მოედანზე სეზონისთვის უჩვეულო სიცარიელეა. კორონავირუსის გავრცელების გამო ტურისტების ნაწილმა ქალაქი დატოვა. დაკეტილია მაღაზიების და რესტორნების უმრავლესობა. ვენეციაში პირბადეების დეფიციტია.

ბოლო მონაცემებით, იტალიაში კორონავირუსით დაღუპულთა რიცხვი ხუთამდე გაიზარდა.

საგანგებო მდგომარეობა სან-ფრანცისკოში

აშშ-ში, კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ფრანცისკოში, კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

სან-ფრანცისკოში ამ დრომდე კორონავირუსის შემთხვევა არ გამოვლენილა. **„გლობალური სურათი სწრაფად იცვლება, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ“,** – განაცხადა ქალაქის მერმა ლეონიდ ბრიდმა.

25 თებერვალს აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა ამერიკელები გააფრთხილა, ქვეყანაში კორონავირუსის ეპიდემიის გავრცელებისთვის მოემზადონ. აშშ-ში კორონავირუსის 57 შემთხვევა გამოვლინდა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛ ᲐᲗᲔᲣᲚ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲢᲘᲠᲒᲝᲕᲘᲨᲢᲔᲨᲘ, ᲫᲕᲔᲚ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲐᲨᲘ, ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲗ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲔᲡ.

ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲐ: ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲜᲛᲐ ᲑᲝᲔᲠᲛᲐ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲡ ᲗᲔᲓᲘᲛᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲡᲠᲝᲚᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ ᲝᲠᲘ ᲠᲘᲒᲘᲗᲘᲪ. ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ წᲘᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲔᲙᲐᲕᲐ, ᲔᲚᲔᲜᲔ ᲙᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ 1989 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲔᲑᲛᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ, �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲙᲣᲚᲔᲡᲙᲣᲛ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲧᲝᲚᲘᲔᲡ.

ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲡᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝᲓ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲐᲗ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲕᲝᲘᲙᲐᲜ ᲕᲝᲘᲙᲣᲚᲔᲡᲙᲣᲡ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ.

— ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ, �თᲣᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲘᲧᲝ: ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲠᲔᲝᲓᲘᲗ ᲛᲐᲗ, ᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲒᲒᲕᲯᲐᲑᲜᲘᲓᲜᲔᲜ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲡ.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ წᲧᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ, თᲣ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ წᲚᲘᲡ წᲘᲜᲐᲗ — ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ თᲣ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ?

ᲐᲠᲐᲓᲐ, „ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ“, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲐᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ, ᲡᲝᲤᲚᲔᲚ ᲑᲘᲭᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲡ ᲡᲣᲚ ᲝᲗᲮᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. 11 ᲬᲚᲘᲡᲐᲛ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲞᲘᲠᲬᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚ „ᲬᲘᲗᲔᲚ“ ᲛᲔᲬᲐᲦᲔᲡᲗᲐᲜ, ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ 15 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲣᲙᲕᲔ �კᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ �გᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ �კᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ შᲔᲛᲓᲔ�გ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲓᲐᲛᲮᲕᲔᲕᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ �გᲐᲘᲙᲔᲗᲐ. 1965 ᲬᲔᲚᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓ �გᲐᲮᲓᲝᲛᲘᲡ შᲔᲛᲓᲔ�გ, ᲘᲒᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲛᲐᲓ შᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ შᲔᲣᲓᲒᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ �გᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ: ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲑᲐᲖᲘᲡ შᲔᲥᲛᲜᲐ, ᲓᲐᲒᲛᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ შᲔᲭᲠᲐ, ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ „ᲒᲐᲙᲘᲪᲮᲣᲚ“ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲗᲐᲜ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲛᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲕᲔᲡ. ᲘᲒᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲛᲘᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ, ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲛᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲦᲕᲐᲬᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐ, რᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ რᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲒᲒᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ 30 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲜᲘᲡ შᲔᲛᲓᲔᲒ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲔᲑᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲥᲜᲐ, ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲐᲦᲘᲠᲡᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ „ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ“ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲬᲧᲕᲘᲐ.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ კᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 46 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ კᲘ ᲮᲛᲐᲡ ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲐ...

„ᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲭᲐᲦᲐᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲦᲐᲠᲐ!..“

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წᲘᲜᲐᲗ, თᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲗᲛᲘᲡ ᲨᲐᲕᲐᲓ შᲔᲦᲔᲑᲕᲐ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ(?!)

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲐᲖᲐᲚᲢᲘᲙᲘᲡ“ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, „ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲣᲠ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ, ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ Ა.Შ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲗᲛᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲐᲕᲔᲜ ᲭᲐᲦᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲤᲐᲠᲐᲓ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲗᲛᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲐᲠᲝᲡ“. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲔᲜ, რᲝᲛ „ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ ᲘᲧᲝ“.

ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲡ, რᲝᲛ თᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ 62 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ გᲣᲠᲑᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲑᲔᲠᲛᲣᲮᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲛᲐ კᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ შᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲘᲛᲘᲯᲘ: თᲣᲙᲘ ᲣწᲘᲜ მᲐᲡ კᲣᲞᲠᲘᲕᲘᲗ შᲐᲕᲘ თმა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲒᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ მᲔᲝᲠᲔ წᲔᲚᲘᲐ — 2018 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ მᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ — შიგადაშიგ ᲭᲐᲦᲐᲠᲐ შᲔᲔᲠᲘᲐ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲐᲖᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ, რᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ მᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ „ᲔᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ მᲐᲛᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲡᲕᲔ მᲝᲬᲛᲝᲑᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ თᲐᲕᲘᲡᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ მᲘᲡᲘ შᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ გᲐᲛᲝᲩᲘᲜᲐᲪ.

ᲘᲡᲔ კᲘ, ᲘᲛᲘᲡ გᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲪ შᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, რᲝᲛ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ წᲚᲔᲑᲨᲘ თᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲨᲘ მᲝᲗᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ წᲐᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲪ ᲘᲧᲝ, მᲐᲗ შᲝᲠᲘᲡ, მᲐᲗ „ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ“, ᲐᲠ ᲩᲐᲡᲕᲐᲗ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘ, მᲐმᲐᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐᲗ გრძᲔᲚᲘ თმა და წᲕᲔᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ თმა ᲥᲔᲠᲐᲓ ᲐᲠ შᲔᲔᲦᲔᲑᲐᲗ. 2018 ᲬᲔᲚᲡ კᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ „შᲘᲜᲐᲣᲠᲣᲚᲐᲓ“ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ მᲣᲥᲘ ფᲔᲠᲘᲡ მᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲥᲐᲚᲘᲡ მკᲔᲠᲓᲘᲡ „ᲝᲥᲠᲝᲡ კᲕᲔᲗᲘᲡ“ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ

ᲘᲡᲔᲕᲔ, რᲝ�გᲝᲠᲪ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ.

ᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ „ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ“ ᲡᲤᲔᲠᲝᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ მკᲔᲠᲓᲘ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ კᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ კᲕᲔᲑᲘᲡ „ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ“ „ᲬᲧᲐᲠᲝᲐ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ მიᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲪ. ᲐᲠᲐᲓᲐ, 21-Ე ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲕᲔᲠᲪ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ, მᲐᲘᲜᲪ რᲝᲛᲔᲚᲘ მკᲔᲠᲓᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ მᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ — გᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ, მᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ, მᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ თუ ᲞᲘᲙᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წᲘᲜᲐᲗ მᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ გᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲔᲡ მᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ მᲖᲔᲠᲘᲡ მიᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲓᲒᲘᲜᲐᲗ ᲥᲐᲚᲘᲡ მკᲔᲠᲓᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ კᲕᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ. ᲐᲛ მიᲖᲜᲘᲗ მᲐᲗ ᲥᲐᲚᲘᲡ მკᲔᲠᲓᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲝᲠ ᲐᲗᲔᲣᲚ ᲒᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚ ᲤᲘ�გᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲰᲧᲕᲔᲡ, შᲔᲛᲓᲔᲒ დᲘᲡᲞᲚᲔᲘᲡ წᲘᲜ ᲝᲠᲘᲕᲔ სᲥᲔᲡᲘᲡ წᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ დᲐᲡᲕᲔᲡ და ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲖᲝᲛᲘᲡᲐ და ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ მკᲔᲠᲓᲡ აᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, თᲐᲜᲐᲪ მᲐᲗᲘ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲘᲡᲐ და სიმᲔᲢᲠᲘᲘᲡ შᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ სᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ. სᲘᲜᲐმდᲕᲘᲚᲘᲗ მკᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲡ მᲮᲝᲚᲝᲓ ის აᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐᲗ, პᲘᲠᲕᲔᲚ რიგᲨᲘ **მკᲔᲠᲓᲘᲡ რᲝᲛᲔᲚ ნაწᲘᲚᲡ** დაᲣწᲧᲔᲑᲓᲜᲔᲜ მᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲔᲑᲘ თვᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ კᲘ კᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ მᲖᲔᲠᲘᲡ მიმᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ საგᲐᲜგᲔᲑᲝდ დაᲐფიქᲡᲘრᲔᲑდᲐ.

ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, რᲝᲛ **ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მᲔᲢᲐᲓ მᲐმᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲪ დᲐ ქᲐᲚᲔᲑᲘᲪ ქᲐᲚᲘᲡ მკᲔᲠᲓᲘᲡ შᲣᲐ ნაწᲘᲚᲡ აკვᲘრდᲔᲑᲝდᲜᲔᲜ**, ᲮᲝᲚᲝ ზᲔᲓᲐ ნაწᲘᲚᲡ, რᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ქᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ ჩვᲔᲣᲚᲔᲑრᲘᲕ ღᲘᲐ დᲔკᲝᲚᲢᲔᲨᲘᲪ აჩᲔᲜᲔᲜ, თითქმის არᲐვᲘს აᲘᲜᲢᲔრᲔᲡᲔᲑდᲐ.

დᲐᲡკვნᲐ ᲐᲡᲔთᲘᲐ: მᲔცᲜᲘᲔრᲔᲑი აცᲮᲐდᲔᲑᲔᲜ, რᲝᲛ გᲐრკვᲔᲣᲚ გᲐᲜᲡᲮვᲐვᲔᲑᲐთᲐ მიუᲮᲔდᲐვᲐდ, მᲐმᲐკᲐცᲔᲑᲡᲐც დᲐ ქᲐᲚᲔᲑᲡᲐც მკᲔრდის სილᲐმᲐზის შᲔსᲐხᲔ დᲐᲐხლᲝᲑით ერთᲜᲐირი წᲐრმᲝდგᲔᲜᲔᲑი აქვთ.

ᲘᲡᲣᲜᲗᲥᲔᲗ „ᲨᲔᲛᲗᲒᲐᲠᲘ“ ᲰᲐᲔᲠᲘᲗ!

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲡᲐ და ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲪᲘᲕᲘ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲑᲠᲝᲜᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲐᲖᲛᲔᲑᲘᲡ მიᲖᲔᲖი ᲮდᲔᲑᲐ, რᲐᲪ ᲐᲡᲗᲛᲘთ დᲐᲐვᲐდᲔᲑულთᲐთვის დიდ პრᲝᲑლᲔმᲐს წᲐრმᲝᲐდგᲔᲜს. ᲐᲜᲐლᲝგიური პრᲝᲑლᲔმის წᲘᲜᲐშᲔ დგᲐᲜᲐᲜ თᲐმᲑᲐქᲝს მწᲔᲕᲔლᲔᲑᲘც.

ᲣᲡᲘᲐმᲝვᲜᲔᲑᲐთᲐ დᲝᲜᲘს შᲔსᲐმცირᲔᲑლᲐდ ᲔცᲐდᲔთ, ქუჩᲐში კᲐშᲜᲔ ᲐᲜ სᲐმᲔდიცᲘᲜᲝ ᲜᲘღᲐᲑი გᲔკᲔთᲝთ, რᲐდგᲐᲜ ᲐსᲔ შᲔსუᲜთქული ᲰᲐᲔრი ფილᲗვᲔᲑშᲘ ᲝდᲜᲐვ შᲔმთᲑᲐრი ᲮვდᲔᲑᲐ.

ᲧᲐᲕᲐ — მᲐრგᲔგᲔლი



მᲔცᲜიᲔრᲔᲑმᲐ დᲐᲐდგᲘᲜᲔს, რᲝᲛ ᲧᲐᲕᲐ ცᲮᲘმს წᲕᲐᲕს.

ᲔᲥᲡᲞᲔრიმᲔᲜტᲔᲑის შᲔდეგᲐდ დᲐდგᲘᲜდᲐ, რᲝᲛ ᲧᲐᲕის მᲝᲮმᲐრᲔᲑᲐ ᲮᲔლს უწᲧᲝᲑს მურᲐ ცᲮიმის წᲐრმᲝშᲝᲑᲐს, რᲝმᲔლიც ᲝრგᲐᲜიზმიდᲐᲜ ს

◎ სამგო

ოძელაშვილთა საკადრისი...

უკვე გაუწყეთ, რომ მინსკში მიმდინარე „ა“ კლასის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე — „ბელარუსის პრეზიდენტის თასი“ — წარმატებით ასპარეზობდნენ ქართველი სამბისტები.

მათ ბოლომდე შეინარჩუნეს კარგად აღებული ტემპი და საბოლოოდ სამშობლოში საკმაოდ უხვი ნადავლით დაბრუნდნენ — 3 „ოქრო“ და 6 „ბრინჯაო“.

გათამაშების დასკვნით დღეს ჯონდო მუზაშვილის შეგირდთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ნინო ოძელაშვილი (80 კგ) და ირაკლი კუპატაძე (57 კგ) ავიდნენ, ხოლო მინდია ლილუაშვილი მესამე პრიზიორი გახდა.

აღსანიშნავია, რომ თავისი შთამბეჭდავი

მონაგარი ძეგველმა მანდილოსანმა უმაღლესი სინჯის მედლით ამჯერად ახალ წონით კატეგორიაში მოპოვებული ჯილდოთი გაიმდიდრა.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ნავსი გატეხა

ნიკოლოზ ბასილაშვილი და ლიეტუველი რიკარდას ბერანკისი აქამდე ორჯერ — უკვე შორეულ 2014 წელს შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ წარმატებას ბალტიისპირელმა ჩოგბურთელმა მიაღწია.

ჩვენმა თანამემამულემ ნავსი მესამე ცდაზე არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ დუბაის კორტზე დაწყებული ATP500 კატეგორიის პრესტიჟული ტურნირის სტარტზე გატეხა, სადაც აქამდე უხერხულ მეტოქეს მძიმე ბრძოლაში მოუგო სამსეტიანი დუელი — 5:7, 7:6 (2), 6:3.

მეორე წრეში საქართველოს პირველ ჩოგანს გერმანელ იან-ლეონარდ შტრუფთან მოუწევს გამკლავება, ვინც გათამაშებიდან ესპანელი ფავორიტი რობერტო ბაუტისტა აგუტი გამოთიშა.

ბეჭან დოლიძე

◎ ფეხბურთი

დიეგოს აჩრდილი

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში „ნაპოლი“ და „ბარსელონა“ დაწყვილდნენ, დღე არ გავა, ამა თუ იმ კონტექსტში დიეგო მარადონამ არ გაიჟღეროს, რაც სავსებით ლოგიკურია — მოგეხსენებათ, არგენტინელმა ჯადოქარმა ევროპული კარიერა კატალონიურ გრანდში დაიწყო, რომელსაც, ვიდრე ბასკი ჯალათი გოიკოეჩეა ფეხს

მოტეხავდა, ექვსი(!) საშინაო საკლუბო ტიტული მოაგებინა, ხოლო აპენინებზე გადაბარგების შემდეგ მანამდე არაფრით გამორჩეულ „სან პაოლოს“ ბინადრებს მთელი ეპოქა შეაქმნევინა — ორჯერ „სკუდეტო“, მათ შორის ერთხელ დუბლის თანხლებით და გვირგვინად უეფას თასი მოაპოვებინა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ კორონავირუსით დაზაფრულ იტალიაში დანიშნული პირველი მერვედფინალის წინ ტოტალიზატორების „ყოვლისმცოდნე“ მოთამაშეები დაბეჯითებით იმეორებდნენ — რადგან მატჩს თვით მათი კერპი ესწრება, შეხვედრა მისივე პატივისცემის ნიშნად ფრედ დასრულდებაო.

რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სწორედ საპატიო სტუმართა ლოჟაში მოკალათებული ლეგენდის ფაქტორმა განაპირობა შედეგი, მაგრამ ფაქტია, რომ მეტოქეებმა მართლაც ზავი გააფორმეს 1:1 (მერტენსი; გრიზმანი).

სხვათა შორის, ეჭვი ეჭვად და ისიც საგულისხმო ფაქტია, რომ ასე სასურველი შედეგის მიღწევა კიკე სეტიენის გუნდს საკმაოდ ძვირი დაუჯდა: გარდა იმისა, რომ გერმანელმა მსაჯმა ფელიქ ბრიხმა წითელი ბარათით ვიდალი დასაჯა, ტრავმის გამო მინდვრის ნაადრევად დატოვება პიკესაც მოუწია, ეს კი 1 მარტს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალთან“ გასამართავი „ელ კლასიკოს“ წინ, დაგვეთანხმებით, განგაშის ტოლფასია, მით უმეტეს — სუარესის, ალბას, დემბელესა და სერხი რობერტოს მკურნალობის ფონზე. რადგან სიტყვამ მოიტანა, დავძენთ, რომ ამავე მიზეზით „სამეფო კლუბს“ აზარი და ასენსიო დააკლდებიან, მასპინძელთა კოლორიტულ კაპიტან სერხიო რამოსს კი დისკვალიფიკაცია პრიმერა-დივიზიონის წინა ტურში „ლევანტესთან“ სენსაციურად წაგებული ბრძოლის შემდეგ მსაჯის მიმართ მკვეთრი ტონით გამოთქმული პრეტენზიის გამო ემუქრება.

„ჩელსი“ — „ბაიერნი“ 0:3
(გოლები — გნაბრი (2), ლევანდოვსკი).

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

როცა გენდობიან...

მართალია, გოგა ბითაძის „ინდიანა პეისერზი“ ნბა-ს რეგულარული სეზონის აღმოსავლეთის კონფერენციის სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზეა, მაგრამ პლეი-ოფის საგზურის მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა მართებს.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ მოახლოებული საშუალედო ფინიშის წინ თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაედო და გუნდის თავკაცი ნეით მაკმილანი ძირითად აქცენტს გამობრძმედილ შეგირდებზე აკეთებს.



გამონაკლისს წარმოადგენდა საკუთარ დარბაზში ერთ-ერთ მაჩანჩალა „შარლოტთან“ გამართული უთანასწორო ბრძოლა, რომელშიც მასპინძლებმა მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდეს — 119:80.

სწორედ აშკარა უპირატესობას უნდა მივაწეროთ, რომ ფავორიტის დამრიგებელმა ახალგაზრდა ქართველ ლეგიონერს უჩვეულოდ მსუყე — 11-წუთიანი ნდობა გამოუცხადა და ჩვენებურმა მწვრთნელს მადლობა ღირსეული მონაგრით გადაუხადა: 5 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება.

ამ გამარჯვებით ინდიანაპოლისელთა ბალანსი 34:24 გახდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ 64

წვრთნიდა საქართველოს ქალთა ნაკრებს

ედუარდ გუფელდმა მდიდარი საჭადრაკო ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა

საერთაშორისო დიდოსტატმა (1967), საჭადრაკო ლიტერატორმა და თეორეტიკოსმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა (1977) ედუარდ გუფელდმა (1936, კიევი) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საჭადრაკო სკოლის აღმავლობაში. იგი სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე (1961-1962) და მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატზე (1985) საბჭოთა ვაჟთა ნაკრების კაპიტანიც იყო.

მან თეორიულად გააანალიზა ბევრი სადებიუტო სისტემა, მათ შორის სიცილიური და ძველინდური დაცვები.

კომბინაციური სტილის დიდოსტატი ე. .გუფელდი საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზიორია. კიევიდან

ტ. გორგიევი
„შახმატი 3 სსსრ“, 1936
I პრიზი



მოგება

ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ თეთრებმა თუნდაც ერთი პაიკი. თუმცა, ამ ამოცანის გადაწყვეტა არ არსებობს და ეს შემდეგნაირად იწყება:



ცუგცვანგი შეიქმნა მეტოქის „ზურგიდან“ და ამრიგად, თეთრები იგებენ.

შენიშვნა:

ტიგრან გორგიევი — (1910-1976), საერთაშორისო ოსტატი (1956) საჭადრაკო კომპოზიციაში; პირადი ჩემპიონატების 5-გზის ფინალისტი.

თბილისში საცხოვრებლად 1968 წლიდან გადმოვიდა. საბჭოთა ქალთა ნაკრებს წვრთნიდა მსოფლიო ოლიმპიადებზე შვეიცარიასა (1982) და საბერძნეთში (1984), რომელიც ძირითადად ახალგაზრდა ქართველი ქალებით იყო დაკომპლექტებული.

დასანანია, რომ მომავალი თაობის აღმზრდელი უდროოდ გამოაკლდა მოჭადრაკეთა რიგებს (იგი რამდენიმე წლის წინათ ახალ ზელანდიაში გარდაიცვალა). მისი შექმნილია წიგნები „მაიას ჩვიდმეტი გაზაფხული“ (თბილისი, 1980), „მინიმალური უპირატესობით“ (1984, თბილისი), „ყველაფერი წინ არის“ (თბილისი, 1977).

ე. გუფელდის კომენტარებით გთავაზობთ ტ. გორგიევის ეტიუდს, გია ნადარეიშვილის წიგნის მიხედვით „ეტიუდი დიდოსტატების თვალით“ (მოსკოვი, „ფიზკულტურა და სპორტი“ — 1982).

თამაზ შენგელია

რაჭას ახალი დაცული ტერიტორია შეემატება

ორე მხრივ, ეკოტურიზმის განვითარებას და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“, — განაცხადა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ თომა დეკანოიძემ.

შეხვედრაზე დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებმა მოსახლეობას ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ 2018-2019 წლებში ჩატარებული კვლევის „რაჭის რეგიონში დაცული ტერიტორიების დაარსების შესაძლებლობის შეფასება“ შედეგები გააცნო.

ჩატარებული კვლევის შედეგად, შეფასდა და განისაზღვრა გეგმარებითი დაცული ტერიტორიების სავარაუდო საზღვრები. ახალი დაცული ტერიტორიის დაარსება იგეგმება ონის მუნიციპალიტეტში და მისი ფართობი 52 191 ჰექტარს შეადგენს.

ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრას WWF კავკასიის პროგრამის ოფისის დირექტორი გიორგი სანადირაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული პოლიტიკის ფარგლებში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების ფართობები იზრდება. დაცული ტერიტორიების დაარსება რაჭის რეგიონში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, ეკოტურიზმის განვითარებას და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“, — განაცხადა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ თომა დეკანოიძემ.

თავდაცვის სამინისტროს ახალი საბინაო პოლიტიკა

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მრავალწლიანი პროფესიული სამხედრო კარიერისა და ქვეყნის სამსახურის დაფასების მიზნით, თავდაცვის უწყება სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაში დაეხმარება. სამხედრო მოსამსახურეებმა თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილ ბინათმშენებლობის ე.წ. „ამხანაგობაში“ გასაწევრიანებლად ხელშეკრულებები ნოტარიულად უკვე გააფორმეს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მახათას მთაზე სამხედრო ქალაქის მშენებლობა აპრილში დაიწყება. ახალი შემოთავაზებით 1 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ისარგებლებს (ყველა გენერალი, პოლკოვნიკი, ვიცე-პოლკოვნიკი, ასევე ის მაიორები, რომლებსაც აქამდე არ მიუღიათ ბინა და სერჟანტების კატეგორია).

„პროექტის პირველი ეტაპი 2021 წელს დასრულდება. მომდევნო ეტაპები დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით განხორციელდება. ახალი პროექტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეები საცხოვრებელი ფართის შეძენას შეღავათიანი პირობებით შეძლებენ და ფინანსური ვალდებულებები მაქსიმალურად შეუმსუბუქდებათ. კერძოდ, თუ მათ უწევდათ ღირებულების 60 პროცენტის დაფარვა, ახალი პირობებით 50-პროცენტიანი თანამონაწილეობის პრინციპი იმოქმედებს. კერძო კომპანიის ნაცვლად, მშენებლობას თავდაცვის უწყების სამშენებლო კომპანია განახორციელებს, რაც თვითღირებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

მათივე ინფორმაციით, სამხედროებს ექნებათ საშუალება, არა საბანკო სესხით, არამედ უპროცენტო შიდა განვადებით ისარგებლონ. საცხოვრებელი ფართის კვადრატული მეტრის სავარაუდო ღირებულება 200 დოლარი იქნება და სამხედრო მოსამსახურეებს ერთ კვადრატულ მეტრში დაახლოებით 100 დოლარის გადახდა მოუწევთ. უპრეცედენტო შეთავაზებას სამხედრო მოსამსახურეები დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად მიიღებენ.

შიდა ქართლში 34 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ შიდა ქართლში 34 დევნილ ოჯახს ბინები გადასცა.

ცერემონიას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი და შიდა ქართლის გუბერნატორი დაესწრნენ. საცხოვრებელი ფართები გორსა და ხაშურში, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად გაანაწილა.

2020 წელს ახალი საცხოვრებელი 2500-ზე მეტ დევნილ ოჯახს გადაეცემა, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართები კი 1500-ზე მეტ ოჯახს დაუკანონდება.

მელვინეობის 8000-წლიანი ტრადიცია - GREAT BIG STORY-ის ვიდეო

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით CNN-ის ერთ-ერთ ონლაინ-პლატფორმაზე Great Big Story **ქართული მელვინეობის, ღვინის წარმოების უნიკალური მეთოდის, ახალგაზრდა ქართველი მელვინის, კახეთის რეგიონისა და კულტურის შესახებ ვიდეორგოლი მომზადდა.**

უახლოეს მომავალში CNN საქართველოს შესახებ ონლაინ-პლატფორმაზე Great Big Story კიდევ ერთი ვიდეორგოლს განათავსებს, რომელიც მარტვილის კანიონს და სამეგრელოს უნიკალურ ბუნებას ეხება.

Great Big Story პოპულარული სამოგზაურო ონლაინ-პლატფორმაა, რომელსაც მხოლოდ Youtube-ზე 4,7 მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავს, Facebook-ზე კი გვერდს 5,6 მილიონზე მეტი მოწონება აქვს.

CNN-ზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში საქართველოს შესახებ გაშვებული სარეკლამო ვიდეორგოლების დაფარვის ზონა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებია.

CNN-ის ეთერით 30-წამიანი ვიდეორგოლი (ზაფხული/ზამთარი) გადაეცემოდა, მომზადდა 5 სატელევიზიო რეპორტაჟი.

სატრენინგო პროგრამა დასრულდა

ძალაძე ოზურგეთში, პროფესიულ კოლეჯში „ჰორიზონტი“ მეჩაიეობის სპეციალობის პროფესიული განათლების მასწავლებლის სატრენინგო პროგრამა დასრულდა.

სოფლის მეურნეობას სჭირდება პროფესიონალები, რომელთაც სპეციალიზებული განათლება ექნებათ მიღებული, განათლების სისტემას კი არა აქვს ამ საჭიროების დაკმაყოფილების საკმარისი რესურსი. პროგრამის მიზანი ამ შეუსაბამობის აღმოფხვრა იყო. ტრენინგის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი პროფესიული განათლების და გადამზადების (VET) საპილოტე პროგრამაში მონაწილეობდა, რომელიც გურიის პროფესიულ კოლეჯში 2019 წლის სექტემბრიდან გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

„პროფესიული განათლების და გადამზადების ახალი მოდელის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის ხელშეწყობა, სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლის გაზრდა“, — აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა.

აღინიშნა, რომ შვეიცარიის გამოცდილება საქართველოს დაეხმარება პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებაში.

ფრინველის ხორცი ოდნავ გაძვირდება, მაგრამ მომხმარებელი არ წააგებს

ფრინველის ხორცზე ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდა. ბიზნესმენები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს პროდუქციას გააძვირებს. საპირისპიროს ამტკიცებენ მეფრინველეობის განვითარების ასოციაციაში, სადაც ამბობენ, რომ მომხმარებლის ინტერესები გათვალისწინებულია და ამიერიდან ისინი უფრო მოგებულები დარჩებიან.

ახალი ნორმების თანახმად, 2025 წლამდე გაყინული და სწრაფად გაყინული ქათმის მარკეტინგი შეიძლება განხორციელდეს თუ წყლის შემცველობა არ აღემატება 5%-ს, ხოლო 2025 წლის შემდეგ, ტექნიკური რეგლამენტი ადგენს, გაციების მეთოდიდან გამომდინარე, წყლის შემცველობის დასაშვებ სხვადასხვა ნორმას.

რეგლამენტით განსაზღვრულია დაფასოებული ადგილობრივი წარმოების გაყინული ან სწრაფად გაყინული ფრინველის ხორცის წონის კატეგორიის მიხედვით კლასიფიცირდება. ყველა დაფასოებულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს წონის მაჩვენებელი, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ამასთან, ეტიკეტზე მეურნეობის ტიპის და ფრინველის ზრდის მეთოდების მითითება დასაშვები იქნება მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. იმპორტირებული ხორცის შემთხვევაში, მას უნდა ახლდეს წარმოშობის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ან აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ პროდუქტი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს ბიზნესოპერატორმა, ხოლო ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს განახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

სპეციალისტების აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოგებული მოხმარებელი დარჩება, რადგან ეცოდინება, რომ გადახდილი ფულით სუფთა წონის ხორცს შეიძენს და არა წყალს. მეფრინველეობის განვითრების ასოციაციაში აცხადებენ, რომ მათი და მომხმარებლის ინტერესები გათვალისწინებულია.

ბექა დანელია

თუთიყუშმა გადაარჩინა

აშშ-ში მოლაპარაკე თუთიყუშმა სახლის ბინადრებს ხანძრის შესახებ ამცნო და სიკვდილისგან იხსნა.

ინციდენტი ტენესის შტატში მოხდა. 63 წლის ბარბარა კლაინი, მისი 61 წლის მეუღლე ლარი და 6 წლის შვილიშვილი კეიტლინი თუთიყუშის ხმამ გააღვიძა, რომელიც „ხანძარია, ხანძარიას“ ყვიროდა.

„როდესაც გავიღვიძეთ, უკვე მთელი სახლი იწვოდა. თუთიყუშმა ლუიმ გადაგვარჩინა, რომ არა ის, ჩვენ ვერ გადავრჩებოდით. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ლუის აქამდე არასდროს უთქვამს ეს სიტყვა“, — აცხადებს ბარბარა კლაინი.

ლარი კლაინმა მეუღლე და შვილიშვილი სახლიდან გაიყვანა, შემდეგ კი თუთიყუშისა და 4 ლეკვის გადარჩენა სცადა, თუმცა ვეღარ მოასწრო და სახანძრო სამსახური გამოიძახა. ლარი კლაინმა სახისა და ფილტვების სერიოზული დამწვრობა მიიღო და რამდენიმე დღე კომაში იმყოფებოდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლა სტაბილურია.

მეზობლებმა ხანძრისგან დაზარალებულებს ფული და პირველადი მოხმარების ნივთები შეუგროვეს, ერთ-ერთმა მათგანმა კი კლაინების ოჯახს ახალი თუთიყუში აჩუქა, რომელსაც ბარბარა კლაინმა ლუი-უმცროსი დაარქვა.

პიცა... გინესის რეკორდებისთვის ემზადება

საფრანგეთში ლიონში ყველის 257 სახეობისგან შემდგარი პიცა დაამზადეს.

30 სანტიმეტრის დიამეტრის პიცაზე ყველის 257 სახეობა მოთავსდა. უახლოეს პერიოდში ამ ფაქტს გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეიტანენ.

პიცა ადგილობრივმა პიცაიოლომ ბენუა ბრუელმა მოამზადა. თავდაპირველად, ის ყველის 254 სახეობის გამოყენებას აპირებდა, თუმცა მზადების პროცესში ყველის კიდევ სამი სახეობა დაამატა.

„ცხადია, რომ დიდ, 80-სანტიმეტრიან პიცაზე ყველის უამრავი სახეობის მოთავსება შეიძლება, ამიტომაც რეკორდისთვის პიცის დიამეტრი 30 სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს“, — განაცხადა მან.

წინა რეკორდი 2019 წელს მელბურნში დაფიქსირდა. მაშინ ერთ-ერთი ადგილობრივი რესტორნის მზარეულმა ჯონი დი ფრანჩესკომ 30-სანტიმეტრიან პიცაზე ყველის 154 სახეობა მოათავსა.

„ვარსკვლავური ომების“ ახალი ეპოქა

კომპანია Disney-მ „ვარსკვლავური ომების“ სამყაროს ახალი ეპოქა — The High Republic წარადგინა.

ახალ პროექტში მოვლენები პროკველების ტრილოგიამდე 200 წლით ადრე განვითარდება, შესაბამისად ავტორებს მეტი შემოქმედებითი თავისუფლება ექნებათ, რადგან სქაიუოკერების ოჯახის შესახებ გამოსულ ფილმებზე დაყრდნობა არ მოუწევთ.

პროექტი ფაზებად იქნება დაყოფილი. პირველში მხოლოდ წიგნები და კომიქსები შევა, რომლებიც ეპოქას საფუძველს ჩაუყრის. მეორე ფაზაში კი სავარაუდოდ ფილმები, სერიალები და ვიდეოთამაშები შევა, თუმცა ამის ოფიციალური დასტური ამ ეტაპზე არ არსებობს.

მარცხენა და მარჯვენა აერია

ინგლისის ქალაქ მაკლსფილდში ქირურგებმა პაციენტს მარცხენა ფეხზე მარჯვენა ფეხისთვის განკუთვნილი მუხლის სახსრის პროთეზი დაუყენეს.

„მარცხენა ფეხზე გადატანილი პირველი ოპერაციის შემდეგ თავს ცუდად ვგრძნობდი. ვფიქრობდი, რომ ოპერაციამ ცუდად ჩაიარა, თუმცა ექიმები მარწმუნებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო“, — ამბობს 74 წლის ბარბარა ბარნსი.

ექიმების შეცდომის გამო ბარბარა ბარნსს რამდენიმე თვის განმავლობაში ტკივილი აწუხებდა. განმეორებითი გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ექიმებმა შეცდომით პროთეზების ყუთიდან მარჯვენა ფეხისთვის განკუთვნილი პროთეზი აიღეს. ამის შემდეგ ქალს კიდევ ერთი ოპერაცია ჩაუტარდა.

გამოძიების შედეგად სამართალდამცველებმა იმპლანტების შენახვის სისტემაში დარღვევები აღმოაჩინეს და მას შემდეგ მარჯვენა და მარცხენა კიდურების იმპლანტები სხვადასხვა ფერის ყუთებში ინახება. ბარბარა ბარნსი სასამართლოს გზით კომპენსაციის მიღებისთვის იბრძვის.

ცოლმა მილიონერი გახადა

ვირჯინიის შტატში მცხოვრებმა კაცმა ცოლის ნაჩუქარი ლატარიის ბილეთით ჯეკპოტი მოიგო.

დენიელ შუმანის თქმით, მან ლატარიაში ბედი პირველად სცადა. საბოლოოდ, ცოლის საჩუქარმა მას მილიონი დოლარი მოუტანა.

„აღმოვაჩინეთ, რომ ყველა ციფრი დაემთხვა. შოკში ვიყავით, რადგან ასეთ რამეს არც კი ველოდით“, — ამბობს შუმანი.

მან მოგებული თანხა უკვე აიღო, თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტია, რაში დახარჯავს ფულს.

დაზვერვის შეფი პროფესიას იცვლის



საფრანგეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსი ალენ ჟუილე რუსული პროპაგანდისტული ტელეკომპანიის წამყვანი გახდა.

როგორც იუწყებიან ჟუილე წაიყვანს გადაცემას, რომელიც გეოპოლიტიკურ საკითხებს მიეძღვნება.

გადაცემა სახელწოდებით „La Source“ (ფრანგ. „წყარო“) თვეში ორჯერ გავა და მისი ქრონომეტრაჟი 13 წუთი იქნება.

არხის მენეჯერის ქსენია ფიოდოროვას განცხადებით, ის ძალიან ბედნიერია, რომ ამ “რანგის ადამიანი“ რუსული ტელეკომპანიის რედაქციაში იმუშავებს.

გადაცემა ფოკუსირებული იქნება დიპლომატიის, კონფლიქტების, ტერორიზმის, უსაფრთხოებისა და დაზვერვის საკითხების შესახებ. პირველი გადაცემის გაშვება მარტში იგეგმება. ჟუილეს არაერთხელ დაუფიქსირებია პროკრემლისტური პოზიციები. ის აქებდა რუსეთის სამხედრო შესაძლებლობებს და ამტკიცებდა, რომ რუსეთი დასავლეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7946; ევრო - 3.0291;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6266;
100 რუბლი - 4.2607; თურქული ლირა - 0.4542;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6481;
1000 სომხური დრამი - 5.8373.

ამინდი 27 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	-5	დღე	+20
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge